ოთხშაბათი, 1917 წ. ენკენისთვის 20 (3) № 206
წელიწადი მესამე

ოთხშაბათი, 1917 წ. ენკენისთვის 20 (3) № 206
ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^{1}/_{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

## გაზეთის შინაარსი

### სამუდამო ცნობები

პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე ქართველთა სამხედრო კავშირის წარმომადგენელმა ქართული პოლკების დარსება მოითხოვა.

მაჰმადიანთა წარმომადგენელმა სამაჰმადიანო სეკრეტარიატის დაარსება მოითხოვა სამინისტროსთან.

ქალთა კავშირის წარმომადგენელმა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ილაპარაკა.

თურქესტანში და ტაშკენტში მთავრობა ბნელ ძალების და ჯარის ხელშია. კერენსკის ულტიმატუმი არ მიიღეს. მაჰმადიანები ჯარისკაცების წინააღმდეგნი არიან. ადგილობრივი იუნკრები დროებით მთავრობას უჭერენ მხარს და ციხე დაიკავეს.

მესოპოტამიაში ინგლისელთა და ოსმალთა დიდი ბრძოლაა.

გერმანეთი აცხადებს დაპყრობილ ადგილებს არ დავცლი, თუნდაც ზავის მოლაპარაკება დავიწყოთ.

### წერილები

**გერონტი ქიქოძე.** საქართველო და საზავო კონფერენცია.

**ეკ. გაბაშვილისა.** ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.

**გობრ. ციცქიშვილი.** სოფლის ვითარება.

**კორესპონდენცია:** გარე-კახეთიდან.

თბილისის ქალაქის საბჭოს სხდომა და ქართული ეკლესიის საკითხი.

გაზეთ „საქართველოს“
კონტორისაგან
რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოვუმატოთ,
გაზეთის თითო ნომერი ღირს 15 კაპ.
წლიური ხელის მომწერლებმა ხელის მოწერის ფასი უნდა შეავსონ 21 მანეთად, რომელიც უნდა გადახდილ იყოს 15 ნოემბრამდე. ვინც ამ ხნის განმავლობაში ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოესპობა. 1 ენკენისთვიდან გაზეთის ფასი იქნება თვეში 3 მან.
ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ვთხოვთ ფულის გამოგზავნის დროს ბანდეროლის ნომრის აღნიშვნას.

მეუღლე დავით გიორგის ძე თულაშვილი შვილებით, დედა ელენე დავითის ასული ჯორჯაძისა, დები ნინა და კატო კონსტანტინეს ასულნი ჯორჯაძეები, ძმა ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ჯორჯაძე მწუხარებით გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის საყვარელის
მარია კონსტანტინეს ასულის
თულაშვილისას
დაკრძალვა ხუთშაბათს, 21 ენკენისთვეს სოფელ მეჯრუხევში, უსანეთის გალავანში. პანაშვიდები ყოველ დღე დილის 10 საათიდან.
1—794—1

თბილისის ნოტარიუსის
გ. ლ. მაჭავარიანის
კონტორაში
გაყვანილია ტელეფონი.
ტელეფონის № 3—96.
3—789—3

ექიმი
დ. პ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
თ—719—18

დიდით დამწუხრებულნი მეუღლე ევდოკია ლეჟავას ასული შვილებით ტატიოთი და კოტეთი, დედა ეკატერინე დავითის ასული, დები დარია და ანნა და ძმა ვასილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ
ბესარიონ რომანოზის ძის
ჭყუასელიძის
გარდაცვალებას.
პანაშვიდი 8 ს. გრიბოედოვის შეს. № 10.
გამოსვენება მოხდება 21 დილის 10 საათზე ბინიდამ ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა წმიდა ნინოს სასაფლაოზე.
1—796—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
თბილისის მეორე უბნის კომიტეტი
სთხოვს უბნის წევრთა და თანამგრძნობთ აუცილებლივ დაესწრნენ
კრებას,
რომელიც გაიმართება 20 ენკენისთვის, საღამოს 7 საათზე, ქართულ სამეურნეო ბანკის დარბაზში, სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი.
კრების საგანია: ანგარიშების გაცნობა და ახალი არჩევნები უბნის კომიტეტისა. კომიტეტი სთხოვს ვისაც წილემული აქვს წიგნაკები პარტიული, პარასკევამდე დააბრუნონ პ. გოთუასთან და გარაყანიძესთან.
მეორე უბნის კომიტეტი.

ქუთაისის რეალური სასწავლებელი
ამით აცხადებს, რომ
თავისუფალია
ერთი შტატის ადგილი
გერმანული ენის
მასწავლებლისა
სკოლის ნაციონალიზაციის გამო აღნიშნული საგნის მასწავლებელმა უნდა იცოდეს ქართული ენა.
3—771—1

ექიმის თანაშემწე
ვანო საათაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს სხდ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.
მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3 (1-ლი სამილიციო ნაწილი).
21—748—თ.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

ექიმი
ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—23)

სამკურნალო კაბინეთი
პ. ს.
ფონ-ირტელისა
ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914“-ით და „606“-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილით და $4^{1}/_{2}$—8 საღამოთი. მიხაილოვის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.

## საქართველო და მომავალი საზავო კონფერენცია

ბოლო დროს მეტად გახშირდა ზავის შესახებ ლაპარაკი და შესაძლებელია ახლო მომავალში საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის საკითხიც წარმოსდგეს. ინგლის-საფრანგეთის პრესა ამხელს, რომ მტრის უკანასკნელი საზავო წინადადება საერთოდ ხელსაყრელია დასავლეთის სახელმწიფოებისათვის და საზარალო რუსეთისათვის. ცხადია, რომ ომის გაგრძელებას უფრო რუსეთისათვის აქვს აზრი, ვიდრე მისი მოკავშირეებისათვის. მაგრამ ეს უკანასკნელნი მზად არიან აღშფოთებით უარჰყონ გერმანეთის წინადადება, თუ კი თვით რუსის ერს შესწევს ხალისი და ძალა ომის გაგრძელებისათვის. წინააღმდეგს შემთხვევაში რუსეთი უნდა შეურიგდეს სამარცხვინო ზავის იდეას: აშკარაა რომ მეგობრები აგრე რიგად თავს აღარ გამოიდებენ, თუ თვით შინ შეუშფოთებელ გულგრილობას გამოიჩენ საკუთარი საქმისადმი.

შესწევს თუ არა დღევანდელს რუსეთს სათანადო ხალისი და ძალა ომის გაგრძელებისათვის? გვგონია, რომ ამ საკითხის დასმა კიდეც ჰგულისხმობს მის პასუხს. სატახტო გაზეთებში ცნობა იყო, რომ ტარნოპოლის რაიონში მეორე არმიის წინააღმდეგ ორიოდე პოლკი მოქმედობდა, ხოლო რიგის აღება გერმანელებს დაახლოებით ასორმოცდა-ათ კაცად დაუჯდათ. ამ შემთხვევების შემდეგ რუსის ჯარის ორგანიზაციისა და დისციპლინის საქმე არ გამოსწორებულა, ომის საწინააღმდეგო პროპაგანდა კი დიდათ გაძლიერდა. შესაძლებელია, რომ დღეს თუ არა ხვალ ეს პროპაგანდა სძლევს უკანასკნელ დაბრკოლებებს და რუსის მთავრობა იძულებული იქნება დასტური დასცეს სამშვიდობო კონფერენციის მოწვევას.

ასეთი პერსპექტივის წინაშე ქართველმა ერმა თავისი დამოუკიდებელი თვალსაზრისი უნდა გამოარკვიოს რასაკვირველია. მომავალი სამშვიდობო კონფერენცია მეოცე საუკუნის უმნიშვნელოვანესი თარიღი იქნება და დიდის ხნით განსაზღვრავს მის პოლიტიკურ მიმდინარეობას, როგორც ვენის კონგრესმა მეცხრამეტე საუკუნის პოლიტიკური განვითარება განსაზღვრა. ის ერები, რომელნიც თავის სახელს არ აღბეჭდავენ ამ კონფერენციის ოქმებში, დიდის ხნით მივიწყებულნი იქნებიან, ან სრულიად ამოიშლებიან მახლობელ პოლიტიკური ისტორიის ფურცლებიდან. და ეს განსაკუთრებით პატარა ქვეყნებისთვის არის სახიფათო, რომელთაც დიდი ეკონომიური და კულტურული ძალა არ შესწევთ ერთხელ შემდგარს საერთაშორისო კონცერტში ადგილის დასაპყრობათ.

მაგრამ გვაქვს თუ არა უფლება ჩვენი ადგილი მოვითხოვოთ ამ თავითვე, როცა კონცერტის შედგენა იწყება, ე. ი. თვით საერთაშორისო საზავო კონფერენციაზე? იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ ევროპის მოწინავე სახელმწიფოების წინაშე ჩვენს უფლებრივს მდგომარეობას გამოვარკვევთ, დასტურს მივიღებთ ამ კითხვაზე. რისთვის ჩაერია მსოფლიო ომში ინგლისი ან შეერთებული შტატები? პატარა ერების დასაცავად მათი განცხადების მიხედვით. რას აყვედრიან ეს სახელმწიფოები ყველაზე მეტად თავის მოწინააღმდეგეს? იმას, რომ მან გადასთელა პაწია ბელგია და დაარღვია საერთაშორისო ხელშეკრულობა, რომელიც მის მიერვე იყო ხელმოწერილი. ბელგიისა და საქართველოს მდგომარეობა ხომ საკვებით ანალოგიურია. აქაც ცალმხრივად საერთაშორისო ხელშეკრულობაა დარღვეული, აქაც საჭიროა უფლებრივი აქტის აღდგენა, რომელიც ტლანქმა ძალამ ქაღალდის ნაფლეთად გამოაცხადა.

თავისთავად ცხადია, რომ საქართველოს უფლების აღდგენას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ მოითხოვს არა მარტო სამართლიანობა და ლოგიკა, არამედ მათი საკუთარი რეალური ინტერესების შეგნებაც. დიდმა სახელმწიფოებმა არ უნდა ითაკილონ ჩვენი პატარა ქვეყნის მეგობრობა. სივრცესა და რიცხვს პოლიტიკაში ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ფიზიკაში, ეს ჭეშმარიტება ბრწყინვალედ დაამტკიცა უკანასკნელმა მსოფლიო ომმაც. რა დაუფასებელი სამსახური გაუწია პაწია ბელგიამ საფრანგეთს, ხოლო პაწია ბულგარეთმა გერმანეთს? არც დიდს ჩინეთს, არც დიდს ოსმალეთს, არც დიდს რუსეთს არ შეეძლო ბევრით მათზე მეტის გამოღება.

როგორც არ უნდა დამთავრდეს თანამედროვე მსოფლიო შეჯახება, ერთი რამ უეჭველია ყოველს შემთხვევაში: ომის შემდეგ წინა აზიაში დიდი კულტურული და ეკონომიური მუშაობა გაჩაღდება. თვითეული სახელმწიფო ეცდება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ფარული სიმდიდრე, რომელიც მეწამული ზღვისა, იორდანისა, ტიგრისისა და ეფრატის ბასეინებში სძევს. ასეთ გარემოებაში დიდი ევროპიული სახელმწიფოებისთვის უმნიშვნელო არ უნდა იყოს იმ პატარა, მაგრამ კულტუროსანი ერის სიმპატია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩრდილოეთის მხრივ ერთგულ გუშაგივით სდარაჯობს ასირიელი მეფეების და ბაღდადელი ხალიფების საფლავებს.

ჩვენი ცხოველმყოფელობა ამართლებს ჩვენს პრეტენზიებს. ჩვენი პატარა სამშობლოს მიწა-წყალს უნახავს ალექსანდრე მაკედონელისა და პომპეუსის ლეგიონები, ლენგთემურისა და შაჰაბაზის ურდოები. სად არიან დღეს ეს დიდრონი სახელმწიფოები, რომელიც ჩვენს აღგვას ლამობდნენ დედამიწის ზურგიდან? მათ ისტორია-ღა იხსენიებს. საქართველო კი ჯერ მაგრად სდგას ორივე ფეხზე და, თუ ნიშნები არ გვატყუებენ, დღეგრძელ სიცოცხლესაც უნდა აპირებდეს.

**გერონტი ქიქოძე.**

## ილია ჭავჭავაძის ხსოვნას

მარიამობისთვის უკანასკნელი რიცხვები კარს გვადგა და არსაიდან კი არსით ისმოდა თუ ქართველობა რას აპირებდა, რითი აღნიშნავდა ამ შავბნელ დღეს, 29 ამ თვისას, ათის წლის წინად რომ მოევლინა მთელ ქართველობას.

არც გაზეთების და არც ხალხის ხმა!

ჩემმა ღელვარებამ აღშფოთებამდე მიაღწია.

დღისით ჩაბმული საოჯახო ჭირ-ვარამში ლუკმა პურის საშოვნელად, საღამოობით დავდიოდი მინდორ-ველად და ბებერ ლამივით ვბუტბუტებდი უძლურად:

—ოჰ, რატომ ძალ არ მიძს, რომ ბუკი დავკრა და ხალხი აღვძრა, ავახმაურო, ვამცნო, ვამხილო, რომ დღეს დღე არის, დღე ლიტანიის, რომ ქართველთ გვმართებს მხურვალე შევწიროთ დღევანდელ დღის გმირს დაუვიწყარს, ვინც ჯვარზედ ეცვა მუხანათობით, ბრიყვთა, უვიცთა ხელის შეხებით!

ხომ ბრბო უვიცი, კვლავ უვიცია? რომ ამას უთხრათ, უთხრათ აუხსნათ, უჩვენოთ ნათლად, დაუმტკიცოთ, რომ მან გაჰგმირა თავისი მამა, მასწავლებელი, აღმზრდელი ბრძენი, საუკეთესო, რჩეული მამულის შვილი, აღვსილი ჭკუით, გრძნობით, გულმტკივნეულობით ხალხისადმი... რომ შეალია სიცოცხლე თვისი ხალხის სამსახურს, რომ მან პირველმა თვალი აუხილა ხალხს მიძინებულს, რომ იმან შექმნა, აალორძინა მწერლობა ჩვენი და მეტყველება გამოარკვია, რომ წინასწარმეტყველურის შორსგამჭვრეტელობით მან დაგვანახვა ჩვენ მომავალი, აღდგომა ხალხის და იმედების ბრწყინვალე შუქი...

ოჰ! დღეს, დღეს უთუოდ, ვამცნოთ, ჩავძახოთ საფლავსა წმინდას, რომ დღე დაგვიდგა შვებისა, რომ გვესმის გვესმის ბორკილების მტვრევის ხმა სახეტარო. რომ „მომავალი“ უკვე ჩვენია, რომ ასპარეზი აღნიშნულია და მივდივართ წინ, რომ გზა უვალი უკვე ხსნილია, რომ ვგოდებთ მხოლოდ და ვწუხვართ იმას, რომ დიდი ილია ჩვენი ილია წინ არ მიგვიძღვის, არ გვმეთაურობს!

მშვენიერი შემოდგომის დასაწყისის საღამოები იყო. სავსე მთვარით განათებული სამოთხის მსგავსი ტურფა ბუნება, რაღაც მომხიბლავ იდუმალობით ხელს უწყობდა ჩემს ფიქრთა დენას და შეუჩერებლივ დაუღალავად ვეხეტებოდი მდინარის პირას.

...და ვერ შევნიშნე, რომ აზროვნება ბოდვად გადმექცა: ხმა მაღლა

ვთხზავდი გიმნს მუსიკალურს და ზედ დავმღეროდი ილიას ლექსებს:

„წვრილ-შვილნი წამოგესწრენ,
ნაზარდნი, გულმტკიცენი,
მათის ზრუნვის საგანი
შენ ხარ და შენ იქნები...
მოვა დრო, გაიზრდები,
მკლავი გაგიმაგრდება,
შვილო, დედისა ნანა
ბრძოლის ხმად შეგეცვლება.
არ შემიძრკე მაშინა“...

მის ღვთიურ პროზის ნაფლეთებს ვიმეორებდი, დეკლამაციით, ხელების ქნევით, „შევსძლებ გასაგონის სიტყვას თქმას?—ჩემ სიტყვასაც გაიგებინებ, იმიტომ რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის“...

სიცხე მქონდა. პაროქსიზმი, რომელიც მალარიის სახით, ქურდულად მომპაროდა, თავბრუს მახვევდა, მაცახცახებდა. ლოგინში ჩავწექ, თვალი დავხუჭე და ვნახე ცხადლივ, თუ მომეჩვენა?

ვითომ ვრცელ ველზედ, ხალხი ღელავდა. დიდი, პატარა, ქალი და კაცი, მღვდელი და ერი, მთლად ქართლოსიანთ მოდგმანი: ქართლელ-კახელნი, იმერნი ერთობ შავის ზღვის პირამდე...

შხირ ბინდი იყო. შორს ტყის ნაპირად, მოსჩანდა რაღაც დიდი რამ ძეგლი, თეთრის საბურველით მთლად შებურვილი... უცებ მოისმა ზარის წკრიალი. და ძეგლს მოეხსნა პირბადე სქელი.

კლდის ნამტვრევებზედ, დიდ ლოდებ შუა, ჯვარი გამოჩნდა უშველებელი და ჯვარის თავზედ ვით ვარსკვლავი ბეთლემისა ენთო კანდლათ მზე ბრწყინვალე ელექტრონისა.

განათდა ასე სამოთხეური სურათი დიდი, დიდებული და მომხიბლავი: არაგვის პირნი, მშვენებით მზირნი, ჯვარის საყდრისა ციხე-დარბაზნი, კავკასიონის ზოლი ალმასის და მდელო ფართე ტყით შემორტყმული წიწამურისა.

წამსვე მოისმა ხმა ორკესტრისა და დიდის და ყოველ კუთხივ გაჩირებულმა მომღერალთ გუნდმა, ბანი მისცა მას.

მაგრამ ხალხი მხოლოდ და მხოლოდ ძეგლს შეჰყურებდა: შავ რკინის ჯვარზედ მიყრდნობილიყო ქანდაკება რამ მარმარილოსი, ხელოვნის ხელით გაცოცხლებული მტრის ხელით მკვდარის სახელოვანის და გაგმირულის შუბლიდგან წვეთ-წვეთად სისხლი სცვიოდა ტყვიით გახვრეტილ გულდამწვარ მკერდზედ.

ხალხი ზღაპრულის სანახაობით აღტაცებული მუხლზედ დეეცა და თაყვანი სცა გმირს ჯვარზედ მიკრულს!

ძეგლთან ავიდა ყმაწვილი ვინმე და ხმით ძლიერით და გაბედულით ხალხს გადმოსძახა:

ათი წელია რაც იგი მოჰკლეს!

დღეს აღსდგა გმირი განახლებული, ნათელ ცხებული! ქართველმა ერმა სალამთან ერთად მას მოუტანა ამბავი დიდი, სასიხარულო: გამეფდა ქვეყნად მცნებანი შენი, შენგნით თქმულიო და ქართველ ხალხის მტკიცე კავშირი შეკრული არის შენის სახელით და მისსა დროშას ზედ აწერია:

„ძმობა, ერთობა, თავისუფლობა დაურღვეველი.

ექ. გაბაშვილი.

## ომი და ზავი

### დეპეშები

### რუსეთის ფრონტი

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 18. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით, სოფ. სპიტალის რაიონში, რკინის გზის სამხრეთით 5 ვერსზე ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა მტერი შეავიწროვეს და 800—1000 ნაბიჯზე წინ წაიწიეს.

**დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტზე** სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** არსებითი არა არის რა.

**მფრინავთა მოქმედება.** ენკენისთვის 15 ჩვენმა მფრინავებმა მტრის სამხედრო დაწესებულებებს 29 ფუთი ყუმბარა დაუშინეს. ბუჩაჩის მიმართულებით „მურომცებმა“ 8 ფუთი ყუმბარა მოიხმარეს.

### პეტროგრადის საჰაერო დაცვა

**პეტროგრადი.** ენკენ. 16. სოლდქო შტაბში გაიმართა თათბირი სატახტო ქალაქის დასაცველად. მოსალოდნელია ყოველგვარი თავდასხმა მტრის მფრინავთა ქარავნის მხრით.

### დასავლეთის ფრონტი

**საფრანგეთის შტაბის ცნობა**

**პარიზი.** ენკენ. 17. მდინარე ენის ფრონტზე ბერი-ო-ბაკას ჩრდილოეთით მტრის რაზმები ჩვენს ხაზების მოახლოვებას შეეცადნენ. მათ მოწინავე თხრილებში შემოჭრა შესძლეს, მაგრამ მალე დავაცლევინეთ. მაასის ორსავე მხარეზე, განსაკუთრებით „344“ სიმაღლის ჩრდილოეთით და შოსეს ტყის მიმართულებით საარტილერიო ცეცხლი ძლიერდება.

**იტალიის შტაბის ცნობა**

**რომი.** ენკენ. 17. პოდგორის სამხრეთით და მალონეს სამხრეთ-აღმოსავლეთით ერთ სიმაღლის ნაწილი დავიჭირეთ. წამოვიყვანეთ 49 ტყვე ოფიცერი და 1360 ჯარისკაცი. მტრის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. ენკენისთვის 16-ს მტერი შეეცადა სილლადი-დოლის ასპარეზიდან გამოვედევნეთ, მაგრამ ამაოდ. ჩვენ 86 ტყვე ჯარისკაცი და 6 ოფიცერი წამოვიყვანეთ.

### ბრძოლა მესოპოტამიაში

**ლონდონი.** ენკენ. 17. მესოპოტამიის ჯარის უფროსი დეპეშით იტყობინება, რომ იგი არ შეეცდება ოსმალთა ოფიცრების ყველა ჭორების უარყოფას ბაღდადის რაიონში ინგლისელთა მარცხის შესახებ. ასეთ ჭორად უნდა ჩაითვალოს ენკენისთვის 13-ს ცნობა, ვითომც ეფრატზე ინგლისელ ცხენოსანთა ერთი ნაწილი ამოეხოცოთ. ნამდვილად მხოლოდ პატრულების შეტაკება მოხდა, რომელშიც ინგლისელებს მხოლოდ 3 ცხენი მოუკლეს.

**ლონდონი.** ენკენ. 18. ენკენისთვის 16-ს ინგლისელებმა რამადისთან ოსმალთა მთავარ ასპარეზებზე მიიტანეს იერიში და მუშაიდი დაიჭირეს. მთელი დღე გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა. ინგლისელთა ჯარი დიდ სიგმირეს იჩენს. ბაღდადის ჩრდილო-აღმოსავლეთით ინგლისელებმა ხელთ იგდეს ტყვეები და 300 აქლემი.

### გერმანელთა ჰაეროპლანები ლონდონში

**ლონდონი.** ენკენ. 17. ოფიციალი. გუშინ საღამოს 8—9 საათზე კენტის და ესსექსის სანაპიროებს გერმანელთა ჰაეროპლანები დაესხნენ. არც ლონდონი გადაურჩა რამდენიმე თავდასხმას. ყუმბარები ესროლეს ლონდონის ჩრდილო-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის უბნებს, ესექსისა და კენტის სხვა და სხვა პუნქტებს. დედაქალაქის სამხედრო ძალთა უფროსი იტყობინება, რომ გუშინდელ თავდასხმით მოკლულია 11, დაჭრილია 82. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა.

## პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი

### კრების წესრიგი

**პეტროგრადი.** ენკენ. 15. დღეს დემოკრატიულ კრების საზოგადო თათბირი არ მოხდარა. კერძოდ სხვა და სხვა ადგილის ფრაქციათა და დელეგატების თათბირი იყო. ორატორები შეერთებულმა კომიტეტებმა უკვე დაანაწილა 16, 17 და 18 ენკენისთვის თათბირის დასაწყისი შუადღისას მოხდება, ხოლო შესვენების შემდეგომ საღამოს 7 საათზე. პირველად 16 ენკ. გამოვლენ ყოფილი სოციალისტ-მინისტრები სკობელევი, ავქსენტიევი და ზარუდნი, შემდეგ ქალაქთა წარმომადგენლები, პროფესიონალ ორგანიზაციათა, ერობათა გლეხთა ორგანიზაციების საბჭოთა დელეგატები. საღამოს თათბირი განსაკუთრებით სამხედრო კითხვების გასარკვევათაა დანიშნული. ჯერ გამოვა სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი, აგრეთვე ჰფიქრობენ, რომ ილაპარაკებს უმაღლესი მთავარსარდალი კერენსკი. კერძო ჯგუფთა და ორგანიზაციების წარმომადგენლები 5 წუთიდან 30 წუთამდე ილაპარაკებენ. გაერთიანებული კომიტეტი შემდეგის შემადგენლობითაა შედგენილი: დელეგატთა საბჭონი 230, გლეხთა დეპუტატთა საბჭონი 230, ქალაქისა—300, ერობათა და გუბერნიების აღმასრულებელი კომიტეტისა 200, ჯარისკაცთა ორგანიზაციების 83, კამისარები—22, ყაზახები—26, არმიისა და გლეხების სექციისა—18, ოფიცერთა—4, დასახიჩრებულ მხედრებისა—6, ფლოტის წარმომადგენელნი 15, პროფესიულ კავშირისა—100, ფოსტა-ტელეგრაფისა—12, მასწავლებლებისა—15, ვაჭარ-მრეწველთა—30, ცენტრალი კოოპერატივებისა—12, ფელდშერებისა—5 უკრაინელთა რადისა—15, მაჰმადიანთა საბჭოსი—10, ებრაელთა—1, პოლონელთა და ქართველთა უპარტიო კავშირისა—5. მოსალოცი დეპეშები ყოველ მხრიდან მოდის, საყურადღებოა კრონშტადტიდან. 15 ათასიანი მიტინგი მოულოცავს კრებას და მოითხოვენ დაპატიმრებულ ბოლშევიკების განთავისუფლებას, აგრეთვე ლენინზე და ზინოვიევის შესახებ სასამართლოს დადგენილების გაუქმებას. ბოლშევიკთა ფრაქციამ განაცხადა, თათბირზე ლენინისა და ზინოვიევის მაგივრად სხვებს გამოვგზავნითო, მათი არჩევა ჩვენს მხრით მხოლოდ დემონსტრაცია იყოო. ზოგიერთა დეპუტატების მოთხოვნილებით გარდასწყვიტეს, რომ ორატორთა გამოსვლას კურიალური ხასიათი კი არა ჰქონდა, არამედ ფრაქციული. მოელიან დეპუტატთა საბჭოს ჯგუფის საზოგადო დეკლარაციას.

გლეხთა წარმომადგენლების თათბირზე მსჯელობა იქონიეს მთავრობის ორგანიზაციის შესახებ. უმრავლესობამ საჭიროდ სცნო ერთფეროვანი მთავრობა, ამასთანავე დაურთეს, იგი საეკონომიო პოლიტიკაში ნუ გაერევაო. თათბირზე პროტესტი განაცხადეს მტკიცე ფასების მომატებაზე. ბევრი ორატორი მომხრე იყო კოალიციური მთავრობისა. იგინი შეუძლებლად სცნობდნენ ეროვნულ პროგრამის ცხოვრებაში გატარებას, თუ ყველა კლასები მონაწილეობას არ მიიღებენო. მეორე ნაწილი ემხრობა მთავრობა შედგენილ იქმნეს იმ პროგრამით, როგორიც ეს ჩხეიძემ გამოაცხადა მოსკოვის თათბირზეო. უმრავლესობა მომხრეა ყველა ელემენტების კოალიციისა.

განსაკუთრებულს კომისიას მიენდო საერობო ჯგუფის დეკლარაციის შედგენა.

პროფესიულ კავშირთა წარმომადგენელნი წინააღმდეგნი არიან ცენზიან ელემენტებთან კოალიციისა.

### ფრონტების ჯგუფი.

ფრონტების ჯგუფმა გამოარკვია, რომ ჯარში კოალიციის მომხრეა 2—1-ის წინააღმდეგ (?) წაიკითხეს ვრცელი მოხსენება. დაესწრო სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი. იმსჯელეს ჯარში ბრძოლის ნიჭის ჩანერგვაზე, კოალიციაზე და მთავრობის კონსტრუქციაზე გარკვეული გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ.

### ეროვნული სექცია.

ეროვნულ სექციაში მონაწილეობდნენ ებრაელთა, ბელორუსების, უკრაინელთა, ლიტოველთა და ქართველ სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლები და წარმომადგენლები მთიულების ბურელების და ყაზახების. თავმჯდომარეობდა მე-4 სათათბიროს წევრი იანუშკევიჩი. ებრაელთა შეერთებულ სოციალისტურ პარტიების წინადადებით მიიღეს დეკლარაციის პროექტი, რომელიც აღნიშნავს ზავის ჩამოსაგდებად გაბედულ ნაბიჯების საჭიროებას, ვაჭრობა-მრეწველობაზე სახელმწიფო კონტროლის შემოღებას, დამფუძნებელ კრების უზრუნველყოფა მიწის თავისუფალ განკარგულების უფლებაში, რუსეთის ფედერატიულად მოწყობის პრინციპების დამყარება, ეროვნული ავტონომია, ეროვნებათა წარმომადგენლების საბჭოს დაარსება მთავრობასთან, დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზედ მოწვევა, სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დათხოვნა. კონტრ-რევოლუციონერთა განდევნა როგორც ჯარიდან, ისე სამოქალაქო უწყებათაგან, სამხედრო ორგანიზაციების გამაგრება, სიკვდილით სასჯელის მოსპობა, პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმის დაუყოვნებლივ გარჩევა. ჯარის ეროვნულ ნიადაგზე რეორგანიზაცია და ფედერატიულ ნიადაგზე წინასწარ პარლამენტის შექმნა.

სომეხ სოციალისტების, ქართველების და ესტონელების წინადადება ფედერატიულ რესპუბლიკის დაუყოვნებლივ შემოღებაზე—არ მიიღეს. შუაღამემდე გარდაწყვეტილება არ მიუღიათ. დეკლარაციაში ერთხმად მიღებულ პუნქტებს შეიტანენ. თვითეულ ეროვნებას თავის საკითხებზე დამოუკიდებლად გამოსვლის უფლება მიენიჭა. პოლიტიკურ საკითხებზე ეროვნებათა წარმომადგენლები პოლიტიკურ ფრაქციებთან ერთად აძლევენ ხმას.

### ს. რ. ფრაქცია

ს. რევ. ფრაქცია გოცის თავმჯდომარეობით ორ ჯგუფად გაიყო: პირველი მომხრე იყო იმ ჯგუფთა ორგანიზაციის და კოალიციისა, ვინც მხოლოდ თათბირზე მიიღო მონაწილეობა, მეორენი კი მომხრენი იყვნენ ცენზიან ელემენტებთან კოალიციისა. კოალიციის მომხრედ გამოდგა ოდესის ქალაქის თავი ლორთქიფანიძე. ორატორმა განაცხადა, თუ მთავრობა მხოლოდ მენშევიკებისა და ესერებისაგან შესდგა, რუსეთის ერთს ნახევარს მოიცავს არხი სინდიკალიზმი და რევოლუცია დაიღუპებაო. თუ არ გვსურს ეს ასე მოხდეს, მაშინ უნდა კოალიციის პრინციპს გავამარჯვებინებთო.

კოალიციის შესახებ საკითხის გარდაწყვეტა არ მოხდა. შუაღამემდე პასუხისმგებელ მთავრობის შესახებ იყო კამათი.

### ბოლშევიკების აზრი

ბოლშევიკების ფრაქციიდან მოხსენება წაიკითხა ტროცკიმ. მან უარჰყო კოალიცია ცენზიანებთან და საჭიროდ სცნო თვითონ თათბირმა იკისროს მართვა-გამგეობაო. მიღებული დეკლარაციის თანახმად რუსეთის მხსნელ საშუალებად აღიარებს განსაკუთრებით რევოლუციური დემოკრატია შეერთებულ მენშევიკთა ფრაქციის წარმომადგენელმა ლიბერმა განაცხადა, ბოლშევიკებმა განცხადება გამოუშვეს, რომლითაც დეპუტატთა საბჭოებს მოუწოდებენ დელეგატთა თათბირზე წარმომადგენელი გამოგზავნეთო. ორატორი მოითხოვს, არც ერთი ზედმეტი დელეგატი არ შეიძლება თათბირზე გავუშვათ, რომ კრება არ წაჰშალონო. ბოგდანოვი ჰფიქრობს წინააღუდგენ კერენსკის სურვილს ისეთ მინისტრების დანიშვნის შესახებ, რომელნიც მთავრობის შემადგენლობამდე დარჩებიანო. შეერთებული ს.-დემოკრატები სასტიკად მოითხოვენ პროტესტი განუცხადონ კერენსკის, თუ იგი ახალს სამინისტროს შეადგენს ვიდრე თათბირი თავის ნებას არ განაცხადებსო. კამათი შუაღამემდე გაგრძელდა.

### მენშევიკ ინტერნაციონალისტები

**პეტროგრადი.** ენკ. 15. მენშევიკ-ინტერნაციონალისტებმა კოალიციის საკითხზე გარდაწყვეტილება არ მიიღეს. ბოლშევიკების მოთხოვნილება მკათათვის ამბების გამო შეპყრობილთა სრულ ამნისტიის შესახებ—უტაქტიკოდ მიიჩნიეს. ამასთან გადასწყვიტეს. თუ ბოლშევიკებმა ამის შესახებ გამოსვლა მოახდინეს—პასიურად შეხვდნენ.

### სახალხო სოციალისტების ჯგუფი

სახალხო სოციალისტების ჯგუფმა პარტიის ცენტრალ კომიტეტთან ერთად კოალიციის პრინციპი გაიზიარა, კადეტების საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა, წინასწარი პარლამენტი საჭიროდ სცნეს.

### საორგანიზაციო კომისიის გარდაწყვეტილება

საორგანიზაციო კომისიამ და საკომენდანტომ გადასწყვიტეს ხვალ ალექსანდრეს თეატრის დაცვა გააძლიერონ. ალექსანდრეს მოედანს გარშემო ჯარს შემოარტყმენ. დარიგებული ბილეთები ახლებით უნდა გამოსცვალონ.

### ჩხეიძის განცხადება

კრების დაწყებამდე ჩხეიძემ განაცხადა, რომ ჯერ ყველა ფრაქციებს არ გადაუწყვეტიათ დღევანდელ დღის საკითხები და ორატორების ჩაწერა ვერ მოასწრეს. პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა სხდომის 5 საათისთვის გადადებაზე.

### სკობელევის სიტყვა

სხდომა 5-სა და 35 წუთზე გაიხსნა. ილაპარაკებენ ყოფილი სოციალისტი მინისტრები. სკობელევი აღნიშნავს, რომ რევოლუციურ დემოკრატიის წინაშე ორი პრობლემაა: ახალ პოლიტიკურ წესწყობილების შექმნა და ომით დაზარალებულ სამშობლოს სამეურნეო აპარატის ხსნა. რა თქმა უნდა ეს ორი პრობლემა მესამე პრობლემაში ერთად ხვდებიან. ეს მესამე პრობლემა—მთავრობის ორგანიზაცია არის. სკობელევი აცხადებს, რომ იგი ძველებურად მომხრეა კოალიციისა ბურჟუაზიულ ელემენტებთან. სკობელევი მოუწოდებს მხოლოდ იმ ელემენტების უარყოფას, რომელთაც კორნილოვის შეთქმულებასთან აქვთ კავშირი.

### ზარუდნის სიტყვა

სკობელევის შემდეგ გამოვიდა ყოფილი იუსტიციის მინისტრი ზარუდნი. მძიმე გრძნობით გამოვდივარ ამ ტრიბუნაზე,—სთქვა ორატორმა, — რომ გაგიზიაროთ ჩემი აზრები, რაც ოთხ თვის მინისტრობით გამოვიტანე. უმაღლესი მიზანი თათბირისა ის უნდა იყოს, რომ დამფუძნებელი კრება რაც შეიძლება მალე იქმნეს მოწვეული. ამისთვის საჭიროა როგორც საზღვრების დასაცველი ზომები, ისე შინაურ წესიერების აღდგენა. ამასთანავე რუსეთს ეჭირვება მთავრობა, რომლის ყოველი წევრი თანახმა იქნება ამ დებულებისა. რომ ყოველგვარ უფლებით იქმნეს შემოსილი, საჭიროა იგი დაეყრდნოს წინასწარ პარლამენტს. მთავრობის მოქმედება მაშინ იქმნება ნაყოფიერი, თუ მისი და პარლამენტის შემადგენლობა კოალიციის საფუძველს ეთანხმება. სამინისტრო ერთფეროვანი უნდა იყოს. იქ უნდა შევიდნენ ერთი პოლიტიკური პროგრამის ხალხი. შემდეგ ბოლშევიკების საპასუხოდ პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ სთქვა: ეს დიქტატურა თეორიულად ქეთია არსებობს, მაგრამ პროლეტარიატი მის წარმომადგენელთა სიბრძნეს დაემორჩილა და განახორციელა იგი. მაგრამ საჭიროა ისეთი ორგანო, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს დირექტორიის დიქტატურის დროს რომელიმე პიროვნების ბრძანებლობას. შემდეგ ორატორი ეხება ივლისის კრიზისს, როდესაც კერენსკი მარტოდ მარტო დარჩა, ეხება შემდეგ კორნილოვის შეთქმულებას და სთქვა, რომ ორსავე შემთხვევაში ყველა მინისტრებმა სამშობლოს სიყვარულის გამო თავი გაანებეს მართვა-გამგეობას, მაშინ როდესაც ორსავე შემთხვევაში მათ ევალებოდათ არას გზით ადგილიდან არ დაძრულიყვნენ მუშაობის გასაგრძელებლად. რუსეთში რომ წინასწარი პარლამენტი ყოფილიყო, მაშინ უმთავრობობაც შეუძლებელი იქნებოდაო. კოალიციის შესახებ ორატორმა სთქვა: ტყუილად ბრალსა სდებთ კადეტებს კორნილოვის შეთქმულებაში. დროებით მთავრობაში ყველანი ერთსულოვნად და პატიოსნად შეხვდნენ ამ ამბავს. მათ პირველად განაცხადეს, ხსნა მხოლოდ ერთია, კერენსკის დიქტატურობაო. ორატორმა განაცხადა, თათბირმა უნდა საგანგებო პირები აირჩიოს და დაავალოს დამოკიდებულობა იქონიონ მთავრობასთან წინასწარ პარლამენტის ორგანიზაციის მოსაწყობლადაო. სასურველია პარლამენტში მოჰყვნენ თვით კადეტებიცაო. დასასრულს ზარუდინმა სთქვა: მწამს, რომ სამშობლო არ დაიღუპება და თუ დაიღუპა, დაე, ყველანი დავიღუპოთ პატიოსნებით სავსენი, ერთ-ურთის მოსიყვარულენი, როგორც სამშობლოს ღირსეული შვილებიო. (ტაში).

### პეშეხონოვის სიტყვა

სასურსათო საქმეთა მინისტრი პეშეხონოვი აღნიშნავს, რომ იგი კოალიციის გარეშე ხსნას ვერ ხედავს. ორატორი აღნიშნავს, რომ პურის მონოპოლიის შემოღება და მოგებაზე გადასახადის დაწესება კადეტების მონაწილეობით გადასწყდა. რაც შეეხება კორნილოვის შეთქმულებაში მონაწილეობაზე ბრალდებას—შეიძლება ისინი სულმდაბლობაზე გავჰკიცხოთ, მაგრამ არა ღალატზე. ორატორის აზრით კოალიციის პრინციპს არღვევს ის რყევა, რომელსაც ორ პროგრამის შორის განიცდის თვით დემოკრატია. პირველი პროგრამა—ეს ჯგუფების კლასების და ეროვნებათა მოთხოვნილებაა. მას მხარს უჭერენ არა თუ ბოლშევიკები, არამედ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სხვა და სხვა მიმდინარეობანი. პროგრამა თუმცა პოპულიარულია მასსაში, მაგრამ მეტად სახიფათოა. ამ პროგრამის სრულიად ასრულება შეუძლებელია. რვა საათის სამუშაო დღის შემოღება ნაწარმოების რაოდენობას შეამცირებს. რაც შეეხება მიწის დაუყოვნებლივ მოთხოვნილებას ის მოჰყვება, რომ რუსეთს პური მოაკლდება. ეხლა სამშობლოს ხსნაა საჭირო, ამიტომ უნდა მოთხოვნილებათა შემცირება. ჩხეიძის პროგრამაში მართლაც რომ არის მშრომელთა მასსების ინტერესთა შეხვედრა. კოალიცია უნდა შესდგეს კლასობრივ ინტერესთა საზოგადო ინტერესების დამორჩილებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მთავრობის აჩრდილს მივიღებთ.

### ავქსენტიევის სიტყვა

შინაგან საქმეთა მინისტრი ავქსენტიევი აღნიშნავს, რომ საჭიროა საკანტროლო ორგანოს შექმნა. მთავრობა მის კანტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. ხსენებული ორგანო მრავალ ძაფებით უნდა იყოს გადაბმული მშობელ ერთან. ეს წინასწარი პარლამენტია. იგი უნდა გამოხატავდეს სამშობლოს ყველა ცოცხალ ძალთა სურვილებს. ამიტომ საჭიროა ცენზიან ელემენტების მონაწილეობა. ორატორი აცხადებს, რომ იგი მომხრეა კოალიციურ მთავრობისა ცენზიან ელემენტების მონაწილეობით. რევოლუციით მოპოვებულთა დაცვა და სამშობლოს [illegible] დაცვა—აი ის პლატფორმა, რომელზედაც შესაძლებელია კოალიცია. მთავრობის ორგანიზაცია არსებითად მხოლოდ დამფუძნებელ კრებამდისაა საჭირო. ორატორი დასასრულ აღნიშნავს, აუცილებელია წინასწარი პარლამენტი, ვინაიდან მასშია ნიადაგი მთავრობის სიმტკიცისა.

### ირ. წერეთლის სიტყვა

ავქსენტიევის შემდეგ ტრიბუნას წერეთელი იკავებს. იგი აცხადებს: დემოკრატიულმა თათბირმა ახალ მთავრობის ბაზისი უნდა შექმნას. მთავრობის წყაროდ რევოლუციის პირველ დღეებიდანვე დემოკრატიული ორგანოები გამოდიოდნენ. პირველ მთავრობის შექმნაში დემოკრატია მონაწილეობდა და დღევანდლამდის მას თავისი წარმომადგენლები ჰყავს მთავრობაში. რევოლუციური დემოკრატია თავის ორგანოებით წყაროდ შეიქმნა მთავრობას და როგორც წყაროს—ამბობს წერეთელი,—ჩვენ უფლება გვაქვს უკან დავუბრუნოთ ჩვენ წარმომადგენელთა მანდატები და ახალ ნიადაგზე ახალი მთავრობა შევქმნათ. იყო დრო, როდესაც ჩვენ ერთ პირს მივანდეთ მთავრობის ორგანიზაცია. ეხლა ეს დრო წავიდა, და ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ კვლავ ისე არ მოხდეს, რომ მთელ კლასებს ვინმე კერძო პირები ჰყავდნენ წარმომადგენლად და მათ შეაწყონ მთავრობა. როდესაც გადავწყვეტთ თუ რა სახის მთავრობას შევადგენთ—საჭირო იქნება ისეთი ორგანოს დაარსება, რომლის წინაშე მთავრობა პასუხისმგებელი იქნება. აი მხოლოდ მაშინ ენდობიან მთავრობას ის ყველა კლასები, რომელთაც თავისთავიანთი წარმომადგენლები ეყოლებათ ხსენებულ ორგანოში. მხოლოდ მაშინ შეიძლება რუსეთის მომავალში ეჭვის შეუტანლობა, თუ ამ ორგანოში მცხოვრებთა ყველა ჯანსაღ ელემენტებს ეყოლებათ თავთავიანთი წარმომადგენლები. დასასრულ წერეთელმა განაცხადა, რომ დემოკრატიულმა თათბირმა უნდა შექმნას მთავრობა, გამოჰყოს თავის შორის საკანტროლო ორგანო. მაშინ ჩვენ დარწმუნებული ვიქნებით, რომ, იგი მთავრობა ნდობასა და ნიადაგს მოიპოვებს და იხსნის გასისხლიანებულ რუსეთს.

### ფრონტის წარმომადგენელთა სიტყვა

ფრონტის კომიტეტთა სახელით მოლაპარაკე კუჩკინმა აღნიშნა, რომ მათ ჯერ ისევ მოსკოვის თათბირზე განაცხადეს, რომ სამშობლოს ხსნა ძლიერ ლაშქრის შექმნაშია. ამ მოკლე ხანში ლაშქარმა განიცადა რიგა, იაკობშტადტი და კორნილოვის ისტორია. ეხლა ყველა ხედავს თუ რა მოხდა რიგასთან. ჯარში ბრძოლის ნიჭის ჩასანერგავად საჭიროა ძირიანფესვიანად აღმოიფხვრას ჯარში შეპარული უნდობლობა თავიანთ ორგანიზაციებისადმი. ორატორი აცხადებს, რომ ფრონტის ჯგუფი სალამს უძღვნის სამხედრო მინისტრს, რომელიც მის პროგრამას მხარს უჭერს. ჯარში ბრძოლის სურვილის ჩანერგვაზე მთავარ ფაქტორად უნდა იყოს კავშირი ჯარსა და ქვეყნის შორის, ჯარმა უნდა იცოდეს ხელისუფლება და პოლიტიკა თავის სამშობლოსი. მთავრობის კრიზისის შესახებ კუჩკინმა განაცხადა, რომ მთავრობა უნდა ეყრდნობოდეს დემოკრატიას და ჩხეიძის პროგრამიდან უნდა გამომდინარეობდეს. თუ ჯარი დარწმუნებული იქნება, რომ მთავრობა დემოკრატიულ ორგანიზაციებზეა დამყარებული მაშინ ბრძოლის ნიჭი ღრმად გაიდგამს ფესვებს და სამშობლოსაც ეშველება (ტაში).

კუჩკინის შემდეგ ფრონტის ჯგუფის სახელით ვოიტინსკიმ ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ ჯარის მდგომარეობა მეტად მძიმეა. მისი გამოკეთება შეიძლება მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ რეპრესიების, სამხედრო რევოლუციურ სასამართლოების და სიკვდილით დასჯის პოლიტიკამ მნიშვნელობა დაჰკარგა. დისციპლინის საჭიროებას არავინ უარჰყოფს, მაგრამ საჭიროა ჯარის მორალურ და მატერიალურ ძალთა გაძლიერებაც. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჯარის სურსათის და ფეხსაცმელ ტანსაცმლის მიწოდის საკითხს. მეორე მეტად მნიშვნელოვანი საკითხი—ეს ჯარის შევსებაა.

მესამე საკითხი, ეს ჯარის გადაჯგუფებას შეეხება, მაგრამ გადაჯგუფება ისე უნდა მოხდეს, რომ დეზერტირობას ნიადაგი არ გაუძლიერდეს. უნდა გავაძლიეროთ ჯარში ნდობა დროებითი მთავრობისადმი და შევაგნებინოთ, თუ რისთვის იბრძვის ჯარი. სა-

მედისწერო საკითხია აგრეთვე ჯარის კაცთა და ოფიცერთა დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას რომ უმრავლესობა ოფიცრებისა ხელი ხელს ჩაკიდებული მიდის ჯარის-კაცებთან ერთად, ხოლო უმცირესობა ოფიცრობისა ამღვრევს წყალს და ამწვავებს ამ დამოკიდებულებას. ამიტომ ზომები უნდა მიიღონ, რომ ეს ჯარისკაცთა მოწინააღმდეგე ოფიცრები ფრონტს მოშორდნენ და მით აღსწიონ ჯარის სიძლიერე, ჯარის სათავეში უნდა იდგნენ ისეთნი, რომელთაც ჯარის-კაცები ნდობას უცხადებენ. ამიტომ ოფიცრებისთვის აუცილებელია ჯარის ორგანიზაციების ატესტაცია. მხოლოდ ამ შემთხვევაში გამტკიცებული იქნება ჯარის სიძლიერე. (ტაში).

### ვერხოვსკის სიტყვა

ვოიტინსკის შემდეგ ტრიბუნისკენ სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი მიდის. დარბაზში ცხარე ტაში ისმის. თქმულიდან აშკარად ჩანს, იწყებს ვერხოვსკი, თუ რა ძნელი მოვალეობა გვაბარია ყველა ჩვენ. მინისტრი ასაბუთებს, რომ ჯარს ფეხზე არ აცვია და ხანდისხან მშიერია. და ეს იმ დროს, როდესაც მოსავალი წელს შარშანდელზე უკეთესია და როდესაც საწყობებში მრავალი ფეხსაცმელი მოიძებნება ჯარისკაცთათვის, მაგრამ სურსათის და ფეხსაცმლების გადატანა უგზოობის გამო შეუძლებელი ხდება. მოსკოვის თათბირზე ჯარისკაცთა და ოფიცერთა შეთანხმებაზე მხოლოდ ლაპარაკობდნენ, აქ კი, პეტროგრადის თათბირზე ეს შეთანხმება საქმითაც მტკიცდება (ტაში, ისმის ხმები: „გაუმარჯოს სამხედრო მინისტრს რევოლუციონერს!“). ეს კი დიდი საქმეა. ეს ალბად ესმის ვილჰელმს და მისი გული ამითი შედრკება. ეს თავდებაა იმ ზავის, რომელიც რუსეთის დემოკრატიამ წამოაყენა. (ცხარე ტაში).

### ფლოტის წარმომადგენელის სიტყვა

ფლოტის წარმომადგენელი აბრამოვი აღნიშნავს, რომ სიმძიმის ცენტრი კოალიციურ სამინისტროს შედგენაში კი არ არის, არამედ მთავრობის პასუხისმგებლობაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში მთავრობა მიიღებს ნდობას. ის უარყოფს ხმებს, თითქო ბალტიის ფლოტს ბრძოლა არ შეეძლოს და აღნიშნავს მამაცურ სიკვდილს ნაღმოსან „ოხოტნიკისას“. თავმჯდომარის თხოვნით ყრილობა ნაღმოსანზე დაღუპულთა აღსანიშნავად ფეხზე დგება. დაბოლოს აბრამოვი ფლოტის ცენტრალ კომიტეტის სახელით აღნიშნავს, რომ ყრილობამ სრულიად რუსეთის ხმა უნდა გამოთქვას და ქვეყანა დამფუძნებელ კრებამდე უნდა მიიყვანოს. აგრეთვე აღნიშნა, რომ აუცილებელია დემოკრატიულ ფედერატიულ რესპუბლიკის გამტკიცება, რაც დემოკრატიულ ზავს დააჩქარებს.

### ყაზახთა წარმომადგენლების სიტყვა

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ყაზახთა წარმომადგენელი გაბრილოვი აღნიშნავს, რომ ქვეყნის ხსნა ძლიერ მთავრობის შედგენაშია, რომელიც იქნება არც კლასობრივი და არც პარტიული. ყაზახობა დემოკრატიის წინააღმდეგ არასოდეს არ წავა და მუდამ მხარს დაუჭერს რუსეთის რესპუბლიკას და დრ. მთავრობას.

ორენბურგის, ენისეის და სემირეჩის ყაზახთა წარმომადგენელი აცხადებს, რომ მთავრობა საერთო ეროვნული უნდა იყოს. ყაზახობა ძველი წესწყობილების აღდგენას არასოდეს არ მოითმენს.

სხდომა გრძელდება ღამის 12 საათზე. მორიგი სხდომა ენკენისთვის 17-ს დილის 11 ს.

### დილის სხდომა.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 17. დილის სხდომა გახსნა ჩხეიძემ, რომელმაც სიტყვა მისცა იმ სამხედრო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, რომელთაც წინადღით ვერ მოასწრეს თავიანთ აზრის გამოთქმა.

### მაჰმადიანთა წარმომადგენლის სიტყვა.

მაჰმადიანთა სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენელი ბუკუმბეროვი გაახსენებს დამსწრეთ, რომ მოსკოვის თათბირზე მაჰმადიანები მიემხრნენ ჩხეიძის დეკლარაციას, სადაც ნათქვამია, „სამშობლოს მხოლოდ დემოკრატია იხსნისო!“ მთავრობა უნდა შესდგებოდეს ჩვენი ქვეყნის ცოცხალი ელემენტებიდან და კოალიციურს ნიადაგზე უნდა იდგეს. რა თქმა უნდა, აქ ადგილი არ ექნებათ მათ, ვინც ფარულად თუ ცხადად, აქტიურად თუ პასიურად რუსეთის რესპუბლიკის დასაღუპავად იბრძვიან. სამხედრო ძლიერების აღდგენის საკითხში მაჰმადიანები დიდს მნიშვნელობას აძლევენ სამხედრო რევოლუციურს ორგანიზაციებს და კომისარებს, მაგრამ არმიის გარდაქმნელ ძირითად პრინციპად უნდა აღიარებულ იქმნას ჯართა განაციონალიზაცია. მომენტი გვიკარნახებს ძლიერი მთავრობა შესდგეს ფართო დემოკრატიულ ნიადაგზე. მაჰმადიანები საჭიროდ სცნობენ ამ თათბირზევე შედგენილ იქმნეს ისეთი ორგანო, რომელზედაც ეყრდნობოდნენ მთელი რევოლუციური ძალები.

### ქართველთა სამხედრო კავშირის წარმომადგენელთა სიტყვა

ქართულ სამხედრო კავშირის წარმომადგენელი ეხ მაჩაბელი ხაზს უსვამს ქართულ დემოკრატიის სრულს სოლიდარობას რუსეთის დემოკრატიასთან. **ქართველები აუცილებელ საჭიროებად სთვლიან ეროვნულ პოლკების დაარსებასა.** საზოგადო პოლიტიკაში ქართველები იზიარებენ დემოკრატიულ პარტიათა პოლიტიკასა. ეროვნულ საკითხის შესახებ ქართველებს დღემდე ხმა არ აუმაღლებიათ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეროვნული შეგნება არ არსებობდეს, არამედ იმიტომ, რომ დღევანდელს მომენტში სახელმწიფოს მტვრევა-დაქუცმაცების დროს შეუძლებლად სთვლიან სახელმწიფოს მდგომარეობის გართულებას (ძლიერი ტაშის ცემა, რაც რომ ხანგრძლივ ოვაციებზე გადადის). ქართველებს სჯერათ იმ თავისუფალი რუსეთისა, რომელსაც ნიადაგს დემოკრატია განუმტკიცებს. დასასრულს მაჩაბელი ქართველ მხედრების პირით აღთქმა დასდო, რომ მთელი ქართველობა რუსეთის დემოკრატიის დასაცველად აღსდგებაო. (ძლიერი ტაშის ცემა).

### უკრაინის სამხედრო წარმომადგენლის სიტყვა

უკრაინელთა სამხედრო ორგანიზაციების სახელით ველიჩკო ემხრობა ფრონტის ორგანიზაციათა წარმომადგენლებს. უკრაინელი ჯარისკაცები და ხალხი დარწმუნებულნი არიან მთავრობის შემდეგს კრიზისების აუცილებლობაშიო, თუ შესრულებულ არ იქმნა უკრაინელთა მოთხოვნილებანი, რაც დეკლარაციით წამოაყენესთ. ველიჩკოს მიერვე გამოქვეყნებულს დეკლარაციაში ნათქვამია, რომ რუსეთის რევოლუციას არ შეუძლიან ძველს კალაპოტში დარჩეს. უკრაინელები ჰკიცხავენ კადეტთა პოლიტიკას. ჩვენაო; სთქვა ორატორმა—არავის ვაპატიებთ მათ, თანამშრომლობას არ უკადრისობს სამშობლოს ფაქტიურს მოღალატეებთანაო. ამასთანავე უკრაინელები მოითხოვენ დაუყოვნებლივ ომის შეწყვეტას და სიკვდილით დასჯის მოსპობას. უკრაინელები ხაზს უსვამენ დემოკრატიის შეცდომებს ეროვნულს საკითხში. დროა ჩვენდამი ნდობით აღიჭურვოს დემოკრატია იგი ერთად რევოლუციის მტერთან საბრძოლველადაო. უკრაინელები მოითხოვენ არმიის რეორგანიზაციას ფართო ეროვნულ ტერიტორიალ პრინციპის თანახმადაო. (ტაში)

### ბელორუსთა წარმომადგენლის სიტყვა

ბელორუსთა სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენელმა სობოლევსკიმ დეკლარაციით მოითხოვა არმიათა გარდაქმნა ეროვნულ ტერიტორიულ პრინციპის თანახმად, რაიც ერთად ერთ საშუალებად უნდა ჩაითვალოს რევოლუციის მიერ დაპყრობილის დაცვისათვის და ომის კეთილ წარმოებისთვის. ბელორუსებს არ შეუძლიანთ დაეთანხმონ ზავის განყენებულს ფორმულას, რომელიც დემოკრატიამ გამოიტანა. აგრეთვე მოვითხოვთ უხლოწოდო ერების განთავისუფლებას, მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ გამოცეს დეკრეტი ენის თანასწორუფლებიანობის შესახებ, მოვითხოვთ რომ დროებით მთავრობასთან შესდგეს ეროვნებათა მინისტრი, დასასრულს მოვითხოვთ წინასწარ პარლამენტის დაარსებას, სადაც ერთა წარმომადგენლებს ფართო ადგილი ექნებათო. (ტაში)

### ყაზახ ნაგაევის სიტყვა

ყაზახთა სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენელმა ნაგაევმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა კალედინის შესახებ. მართალია, ყაზახობა ორ ნაწილად გაიყო და კალედინს მომხრეები ბლომად გამოუჩნდნენ. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ კალედინის გამარჯვება ვაუწყოთ ქვეყანას. კალედინი მალე სცენიდან ჩამოშორდება. არა მგონია დემოკრატიულს თათბირზე მისი დამცველნი გაუწითლებლივ გამოვიდნენ. ნაგაევი პროტესტს აცხადებს ყაზახთა მიერ ყუბანისა და თერგის ოლქის შემოერთებაზე, ესაო,—სთქვა ორატორმა, დამფუძნებელ კრებამ უნდა გადასწყვიტოსო. სამხედრო ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ ყაზახობა ემხრობა სამხედრო მინისტრის პროგრამასაო. მთავრობა უფლებით და ძალა მოსილი უნდა იყოს, ავტორიტეტული, კოალიციურს ნიადაგზე, მაგრამ აქ არ უნდა იყვნენ შერეულნი ისეთი ელემენტები, ვინც კორნილოვის აჯანყებას მხარს უჭერდნენ. (ტაში).

### ყაზახ ერშოვის სიტყვა

ყაზახთა ზურგის ჯარის ორგანიზაციის წარმომადგენელმა ერშოვმა მრავალი მაგალითი მოიყვანა წინა ორატორის აზრების დასამტკიცებლად შემდეგ შეეხო მთავრობის შემადგენლობის საკითხს და სთქვა, რომ ცენზიან ელემენტებს შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა, თუ პირადად კორნილოვის აჯანყებაში არ გარეულანო. მთავრობაში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ანარქისტულს ელემენტებს. ყაზახობა არასოდეს არ შესცდება კორნილოვის აღთქმებით და არ გაჰყვება მის ძახილსაო. (ტაში). თუ თქვენ გსურთ კორნილოვშჩინიდან განთავისუფლება, მაშინ გაგვანთავისუფლეთ ჩვენც კორნილოვებიდან (ტაში და ძახილი: „კალედინებიდან!“). მე მაფიოდ ვსთქვი „კორნილოვებიდანო“ მეთქი. ყაზახობა სულითა სწუხს, რომ თავისუფლების დაღუპვას უყურებს და რომ ანარქისტულ და რეაქციონურ ძალთა წელმომაგრებასა ჰხედავს. ყაზახობა ყოველთვის მხარს უჭერდა დროებით მთავრობას და ყოველს ღონეს მოიკრებს თავისუფალ რუსეთის რესპუბლიკის დღეგრძელობის დასაცველად. (ძლიერი ტაში და ხმა: „გაუმარჯოს რევოლუციურს ყაზახობას“!)

### მილიუტინის სიტყვა

**ქალაქთა ჯგუფის** წარმომადგენელმა მილიუტინმა მოიყვანა ზოგიერთა ქალაქის სათათბიროს ნაკაზი, რომლითაც მოითხოვენ, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის უფლება დემოკრატიის ხელში გადავიდესო. შემდეგ გააკრიტიკა ყოფილ მინისტრ-სოციალისტების სიტყვები და განაცხადა: მთელს თავიანთს მინისტრობის დროს მათ ვერაფერი ისწავლესო. მძლევარების დროს, როცა ჩვენს ქვეყანას შიმშილი და უმუშევრობა ემუქრება, რომელსაც ეკონომიურ ცხოვრებას საშინელების აჩრდილი ემუქრება, აი ამ დროს მტკიცე ფასების შემოღება სრულიად შეუწყნარებელია. საბოლოოდ მილიუტინი მოითხოვს, რომ ყველა მიწები გლეხთა კომიტეტებისა და მუშათა საბჭოების ხელში გადავიდეს.

### ისაევის სიტყვა.

პეტროგრადის თვითმართველობის წარმომადგენელმა ისაევმა ილაპარაკა იმ ჯგუფის სახელით, რომელიც სავსებით იზიარებს ჩხეიძის მიერ მოსკოვის თათბირზე წამოყენებულ პროგრამას. ამ ჯგუფის აზრით კოალიციური მთავრობა საჭიროა შემოქმედ მუშაობისთვისო. შემდეგ მიუთითა იმაზე, რომ მუშათა კლასს არ შეუძლიან სახელმწიფო მართვა-გამგეობა ხელთ ჩაიგდოს და შეუძლებელიცაა ერთფეროვანი იყოსო. იგი უნდა კოალიციურს ნიადაგზე იდგეს. შემდეგ ორატორი შეეხო ანარქიულ მოძრაობის გაძლიერებას, გაიხსენა ტულიდან, ყაზანიდან, კოსტრომიდან, ეკატერინოსლავიდან, ბაქოდან, ტაშკენტიდან და სხვა ქალაქებიდან დეპეშით გადმოცემული ამბები და განაცხადა: აი, აქ, სადაც აუწერელი დარბევა-აწიოკება ხდებოდა, დეპუტატთა საბჭონი უძლურნი იყვნენ წესიერება აღედგინათო (ბოლშევიკები თავიანთ ადგილებიდან ჰლელავე, ხმაურობენ). წესიერების აღსადგენად საჭიროა ცოცხალ ძალთა შემოკრება კანონიერების ფარგლებშიო. შემდეგ ორატორი დაასკვნის: გამოცდილებით შეგვიძლიან ვსთქვათ, თუ როგორი ნიადაგზე უნდა შევადგინოთ ახალი მთავრობა: საქმიან მუშაობის ნიადაგზე, 14 მარიამობისთვის დეკლარაციის პლატფორმაზე უნდა მოხდეს ყველა ელემენტების კოალიცია, სადაც გამონაკლისს არც თუ ცენზიანი ელემენტები უნდა შეადგენდნენო. ბოლოს ისაევმა დეკლარაცია გამოაქვეყნა ქალაქის ჯგუფის სახელით.

(შემდეგი იქნება)

### უკანასკნელი დეპეშები

**ენკენისთვის 18-დან ფინლიანდიის სეიმის არჩევნები დაიწყო. პეტროგრადში დაბრუნებულ ფინლიანდიის გენერალ - გუბერნატორ ნეკრასოვის აზრით, არჩევნებში სოციალისტები გაიმარჯვებენ. გლეხები სოციალ დემოკრატების წინააღმდეგნი არიან.**

—

**ფინეთში პურის ნაკლებობამ აჩინა თავი. მდგომარეობა დღითი-დღე მწვავდება.**

## ქრონიკა

### თბილისი

**ქართული ჯარი.** ამიერ-კავკასიის სამხედრო ცენტრის თავმჯდომარემ ევ. გეგეჭკორმა დეპეშა მიიღო დროებით მთავრობისაგან, რომ ეროვნულ სამხედრო ნაწილების შედგენა ნებადართულია. კერძოდ ნებადართულია მთავრობისაგან ქართულ პოლკების შედგენაო.

◆ **ქართველ მწერალთა ყრილობა.** ქართველ მწერალთა პირველი ყრილობის მოწვევა 7 ოქტომბრისათვის გადაწყდა. ყრილობაზე მომხსენებლად გამოდიან: შალვა დადიანი, სერგო გორგაძე, გრიგოლ რობაქიძე, ტიტე ტაბიძე, გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი და ი. ყიფშიძე. მალე გამოქვეყნდება მთელი წესრიგი; საჭირო ცნობათა მიღება და მოლაპარაკება შეიძლება ყრილობის მოწვევ კომისიის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილთან (თბ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი, ლორის-მელიქოვის ქუჩა).

◆ **საკათალიკოსო საბჭოს სხდომა.** ენკენისთვის 18-ს კათალიკოსის ბინაზე, სრულიად საქართველოს კათალიკოსის კირიონის თავმჯდომარეობით მოხდა პირველი სხდომა საკათალიკოსო საბჭოსი, რომელზედაც განაწილებულ იქნა საქმეები წევრთა შორის.

◆ **საკათალიკოსო საბჭოს წევრად** გ. ბ. გვაზავაც არის არჩეული, რომელიც გუშინდელ სიიდან იყო გამოტოვებული.

◆ **სახინოდო კანტორის კომისრებად** საკათალიკოსო საბჭოს მხრივ არჩეული არიან პ. ბარათაშვილი და დეკ. ნ. თალაკვაძე, რომელთაც კონტორის საქმეები უნდა ჩაიბარონ.

◆ **საკათალიკოსო სასამართლოს წევრებად** არჩეული არიან: ნაფიცი ვექილი ი. გუნცაძე, ალ. ყანჩელი, გ. გორდეზიანი, გ. ჟორდანია, დეკ. ან. თოთიბაძე, გ. კარბელაშვილი და ქრ. ციციშვილი.

◆ **ახალი კოოპერატივი.** თბილისის მე-4 უბნის სასურსათო კომიტეტის თაოსნობით არსდება მომხმარებელი საზოგადოება, რომელშიაც წევრებად ჩაწერა შეუძლიანთ მხოლოდ მე-4 უბნის მცხოვრებთ. წევრად ჩაწერა შეიძლება მე-4 უბნის სასურსათო კომიტეტში.

◆ **ა. მ. არღუთინსკი.** თბილისის ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფი, რომელიც პეტროგრადის ქალაქის მოურავის ამხანაგად იქმნა არჩეული, ხვალ (20 ენკენისთვეს) მიემგზავრება პეტროგრადს.

◆ **მოსკოვის ქართველობა.** მოსკოვის ქართულ საზოგადოების თავმჯდომარე მიხეილ ზანდუკელისგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: მოსკოვში მეტად გახარებულნი არიან ქართველთა ეროვნულ პარტიათაშორისო საბჭოს დაარსების გამო. მასში სამშობლოს ხსნის ერთად ერთ გზას ხედვენ და საბჭოს ნაყოფიერ მუშაობას უსურვებენ.

◆ **სავაჭრო სახლების რეკვიზიცია.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ დაადგინა, რომ რეკვიზიცია გაუკეთოს იმ სავაჭრო სახლებს, რომელნიც არ ასრულებენ სასურსათო კომიტეტების დადგენილებებსაო.

◆ **საერობო კავშირში** ამიერ-კავკასიის განყოფილების გამგეობის მდივნის ამხანაგად მიწვეულია ნაფიცი ვექილის თანაშემწე გ. გორდეზიანი.

◆ **მიიღო საგუბერნიო სასურსათო** კომიტეტმა 17—19 ენკენისთვეს: ფქვილი 12 ვაგონი, ქერი 1 ვაგ., კარტოფილი 8 ვაგ., ფხვნილი შაქარი 2 ვაგ., კომბოსტო 2 ვაგ., ქაღალდი 2 ვაგ.

◆ **სასურსათო თათბირი.** ვინაიდან შიმშილი ახლოვდება და სურსათის შოვნა კი ძალიან გაჭირდა, დღეს, ენკენისთვის 20-ს საგუბერნიო სასურსათო გამგეობა თათბირზე იწვევს სარევოლუციო ცენტრთა თავმჯდომარეებს, ქალაქის გამგეობას და კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენელს. თათბირმა უნდა გადასწყვიტოს საკითხი, თუ რა ღონისძიებას მიმართონ პურის შესაძენად.

◆ **სომეხ სემინარიელები უნივერსიტეტში.** სახალხო განათლების მინისტრმა სომხის სემინარიებში შვიდ კლას დასრულებულ მოწაფეთ უნივერსიტეტში შესვლის ნება დართო. ლათინურ ენის უცოდინარებმა 1917—1918 წწ. განმავლობაში გამოცდა უნდა ჩააბარონ. უნივერსიტეტში შესვლა 1918 წ.—1919 წ. დაიწყება.

◆ **მოწმობა ფეხსაცმელის შესაძენად.** ფეხსაცმელებისა და ტყავეულობის შესაძენად, აგრეთვე შეკეთილ ფეხსაცმელების მისაღებად მეჩექმისაგან, საგუბერნიო სასურსათო გამგეობა მოწმობების მიცემას დაიწყებს მომავალ ორშაბათს (ენკენისთვის 25). უმოწმობოდ ვერც ერთი მაღაზია ვერ გაჰყიდის აღნიშნულ საქონელს და მეჩექმესთან შეკეთილ საქონლის დახსნაც არ შეიძლება.

◆ **მისალოცი დეპეშები.** საქართველოს კათოლიკოზს კირიონს დიდძალი მისალოცი დეპეშები მოსდის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და რუსეთიდან.

◆ **ქიათურის ქალაქის არჩევნები.** მონაწილეობა მიიღო 1257 ამომრჩეველმა. უნდა მიიღო 1912-ს ბირჩია 14 სოც.-დემ. ორ-ორი სოც.-ფედერ. სოც.-რევ. და ეროვ.-დემ. 150 ხმა მიიღო ეროვ.-დემოკ. 111 სოც.-ფედ. ამდენივე თითქმის სოც.-რევოლ. და დანარჩენი სოც.-დემოკ. ამრიგად ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიიდან გავიდა **პაპავა ბარნაბა ამბაკოს ძე**, სამთამადნო ინჟინერი და **გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე**—შავი ქვის მრეწველი.

◆ **ჩხრეკა.** ამ დღეებში თბილისის ბევრი უბანი გასჩხრიკეს იმ მიზნით, რომ აღმოეჩინათ დამალული საქონელი და ის ადგილები, სადაც ნებადაურთველად ღვინოს ჰყიდიან. ბევრგან აღმოაჩინეს მალულად ღვინის მსმელები და ღვინო პატრონებს ჩამოართვეს. რამდენიმე დუქნის პატრონები (20—25 კაცი) მეტეხის ციხეში გაგზავნეს. ზოგ ადგილას აღმოჩნდა დამალული ყველი, შაქარი და სხ. ჩხრეკის დროს რამდენიმე დეზერტირიც ნახეს.

◆ **ბორჯომის კომისარი.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა ბორჯომის კომისრად დაამტკიცა მ. ახალაძე.

◆ **მსახიობთა მოწვევა.** თბილისის ქართ. დრამის რეჟისორი ვ.ლ. შალიკაშვილი იწვევს ახალგაზრდებს, რომელთაც სურთ ქართულ სცენაზე მუშაობა. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ დრამ. საზოგ. კანტორაში (სასახლის ქ., თავად-აზნ. სახლი. დილის 11—2 საათამდე ი. ჟღენტისთან.

### თერგის ყაზახობა და კერენსკი

კავკასიის ჯარის უფროსმა გენერალმა პრჟევალსკიმ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სახელმწიფო სათათბიროს წევრს კარაულოვს: თქვენ კარგად იცით, რომ კორნილოვზე გამოძიება სწარმოებს და ყოველ შემთხვევაში საქმეს კარებ დახურულში არ გაარჩევენ. თქვენი ცნობები გამომძიებელ კომისიისათვის ანდა დროებით მთავრობისათვის რომ მიგეწოდებინათ კიდევ მესმის, მაგრამ საკვირველია რად დაგჭირდათ, რომ მოწოდებით თერგის ყაზახობას და ოლქის მცხოვრებთ მიმართეთ. მოწოდებაში კორნილოვზე თქვენ მიერ შეკრებილი ცნობები მოგყავთ და მინისტრ თავმჯდომარისა და უმაღლეს მთავარ სარდლის მოწოდებას ნდობას უკარგავთ, რითაც გაუგებრობას ჰბადებთ და ჰორია მცხოვრებლებში. სასწრაფოთ გვაცნობეთ, რა მიზნით გამოუშვით ხსენებული მოწოდება. კატეგორიულად გიკრძალავთ ამგვარ მიმართვას ჯარისა და მცხოვრებთადმი. გახსოვდეთ, რომ ამ ჟამად ხსნა ზურგში სიმშვიდის ჩამოგდებაშია.

### თბილისის ქალაქის საბჭო

18 ენკენისთვეს

სხდომა იხსნება საღამოს 9 საათზე. თავმჯდომარეობს **ევ. გეგეჭკორი.**

მდივანი **ხახანაშვილი** კითხულობს წარსული სხდომის ანგარიშს. კიდევ ხელახლავ აღნიშნავს საბჭოს მიერ განხილულ საკითხებს.

### ოზურგეთის ახალი ქალაქის საბჭოს დეპეშა

თავმჯდომარე კითხულობს ოზურგეთის ახალი ქალაქის საბჭოს დეპეშას, რომელშიაც სალამს უძღვნიან უფროსს თბილისის დემოკრატიულ ქალაქის საბჭოს.

**სემიონოვი** (კ. დ.). ნება მიბოძეთ მეტის-მეტად საჭირბოროტო საკითხის დასმისა.

**ევ. გეგეჭკორი.** შეკითხვას და გამოკითხვას ბევრი დრო უნდება, საჭიროა რაიმე რიგი ამის შესახებ.

სხდომა ამის შესახებ შემდეგს ამტკიცებს: ღამის თერთმეტ საათამდე მსჯელობა იყოს დღიურ საკითხზე, შემდეგ კი ადგილი ჰქონდეს კერძო შეკითხვებს.

### ფურაჟის საკითხი

**სემიონოვი** აღელვებული კილოთი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ თბილისს ახლო მომავალში მეტის-მეტი საშინელება მოელის. ფურაჟის საკითხის სიმწვავე მწვავე პერსპექტივებს გვიშლის თვალ-წინ. ქალაქის გამგეობა და მასთან ქალაქის და გუბერნიის სასურსათო კომიტეტი არავითარ ღონისძიებას არ ხმარობენ, რომ მედროგე-მეეტლეთა მდგომარეობა გაუმჯობესებულ იქმნას. ქალაქს ახლო მომავალში საფრთხე ელის მეეტლე-მედროგეების სამუდამო გაფიცვით, რაც აუცილებლივ სურსათის დიდ კრიზისს გამოიწვევს, რის გამო ქალაქი დარჩება ურძევოდ... ამიტომ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია, რომ ფურაჟის საქმე გადავიდეს კოოპერატივების ხელში. წინააღმდეგ შემთხვევაში მედროგეები და მეეტლეები იძულებული იქნებიან მთელი საქონელი ან ფრონტზე გაჰყიდონ, ან და ჩრდილო-კავკასიაში გადაიყვანონ.

სემიონოვის მიერ საკითხი მეტისმეტად კატეგორიულად არის წამოყენებული, ამიტომ ეს საკითხი დარბაზში გაცხოველებულობას იწვევს.

ამის გამო ქალაქის თავი იძლევა განმარტებას.

**ნ. ელიავა.** (ქალაქის თავი) აუტანელი მდგომარეობა მედროგე-მეეტლეთა ფიცით, სამწუხაროდ პირდაპირი დახმარება არ შეგვიძლია, შეგვიძლია მხოლოდ შუამდგომლობა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

კამათი ამ საკითხის შესახებ მეტის მეტად გრძელდება. დაბოლოს დადგენილ იქმნა, რომ საკითხი გადაეცეს ქალაქის საბჭოს, რომელიც ფურაჟის საკითხის შესახებ საგანგებო კანონ-პროექტს შეიმუშავებს.

### ქართული ეკლესიის საკითხი

ს.-დემოკრატიის ფრაქციის (მენშევიკთა) დავალებით ბ-ნი არსენიძე ქართულ ეკლესიის საკითხს ეხება. ეს მოვლენა ერთიანად სცვლის გარემოებას და დარბაზს სიცოცხლეს მატებს... სხდომის დაწყებამდე დადიოდა კულისებში მრავალი ხმები, რომ მენშევიკთა ფრაქციას სურს გალაშქრება ქართული ეკლესიის წინააღმდეგო. მაგრამ ეს ხმები არავის არ სჯეროდა. მით უმეტეს, რომ დღიურ წესრიგში ქართული ეკლესიის საკითხი შეტანილი არ იყო. არავის ეგონა, თუ მენშევიკთა ფრაქცია, თავის მიერ დამტკიცებულ წესრიგს შესცვლიდა.

**მ. არსენიძე** (მენშევიკი). ჩვენ თვალწინ სწყდება დიდი ისტორიული საკითხი. ქართული ეკლესიის ვითომც დემოკრატიული ორგანიზაცია გვავალებს, რომ თვალები არ დავხუჭოთ. მართალია, რომ ქართული ეკლესია 100 წლის განმავლობაში ფეხ-ქვეშ ითელებოდა რუსეთის მთავრობის მიერ. დღეს კი რუსეთის დემოკრატიის გამარჯვებამ ნიადაგი მოუმზადა ქართულ ეკლესიის განთავისუფლებას, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას. მაგრამ შევეკითხოთ ჩვენს თავს, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა ნიშნავს თუ არა დემოკრატიულად გახდას. ჩვენი შეხედულება ყველასათვის აშკარაა. ჩვენ ვესარჩლებით ეკლესიის თავისუფლებას, როგორც სინდისის თავისუფლებას. ისე სიტყვა ეკლესიის თავისუფლება არაფერს არ ნიშნავს. ასეთნაირი ეკლესიები სხვა ერებსაც მოეძებნებათ, მაგრამ ამითი დემოკრატია უზრუნველყოფილი არ არის. მე ვფიქრობ, რომ თვითეული ცდა ეკლესიის პოლიტიკურ საქმეში ჩარევისა ანტიდემოკრატიულია. საგულისხმოა აგრე-

თუ სკოლის საკითხთან დამოკიდებულება ქართულ ეკლესიისა. ჩვენ არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ დემოკრატია მოითხოვს სკოლის სრულ ჩამოშორებას ეკლესიიდან. ქართული ეკლესიური ორგანიზაცია ქართულ ეროვნულ პოლიტიკურ საკითხად იქცა და ქართველი დემოკრატია ამას ხელს არ შეუშლის. ამიტომ ვსახოვ ქალაქის საბჭოს შემდეგი რეზოლუცია მიიღოს.

ბ-ნი არსენიძე კითხულობს მენშევიკთა რეზოლუციას. რეზოლუციის პირველ ნაწილში მილოცვა ქართულ ეკლესიის უფლებათა აღდგენისადმი, ხოლო რეზოლუციის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ ეკლესია დაუყოვნებლივ უნდა ჩამოცილდეს სახელმწიფოს, ხოლო სკოლა ეკლესიას.

ბ-ნი არსენიძის განცხადება დარბაზში ხმაურობას იწვევს. თავის განცხადების კითხვის დროსაც ორატორს ხმაურობაში უხდება ლაპარაკი. აშკარაა, რომ საბჭოს არ ჯერდება გაიგოს... უმრავლესობას უკმაყოფილება ეტყობა. მოითხოვენ, რომ ამ ჟამად შეუძლებელია და უტაქტოა ქართული ეკლესიის საკითხის განხილვა.

**ალ. ლომთათიძე** (მენშევიკი). შეუძლებელია თვალები დახუჭო იმაზე, რაც ყველასათვის აშკარად ხდება და რაც ყველასათვის ფაქტია. მე არ მესმის, თუ რატომ უნდა ავარიდოთ ჩვენ სხდომა ამ საკითხს. ჩვენი რეზოლუცია ხომ ს.-დემოკრატიულ პარტიის შეხედულებათა განმარტებაა ეკლესიაზე.

**გრ. ვეშაპელი.** ჩემთვის უცნობია თუ რომელ ტაქტიკური მოსაზრებით არის გამოწვეული მენშევიკების დღევანდელი ნაბიჯი...

ქართული ეკლესიის შეხება შეიძლება ან სარწმუნოებრივი ან პოლიტიკური, (დემოკრატიული თუ ეროვნული) თვალსაზრისით...

მაგრამ ქალაქის საბჭო მორწმუნეთა კრებული არ არის, იგი ვერც [illegible] ვერც პოლიტიკურ წრეა...

[illegible] ეროვნულ-პოლიტიკური თვალსაზრისით კი ასეთი ნაბიჯი უადგილოა—ამ ინტერნაციონალურ კრებულ მი... საქართველოს კათოლიკოსის არჩევა და ავტოკეფალიის დაწყება ეს ქართველი ერის ნების ყოფაა, გამოთქმული დემოკრატიულად არჩეულ საეკლესიო კრებაზედ... და ამიტომ ეროვნულ-პოლიტიკური ღირსება საქართველოს ეკლესიის შექმნისა მხოლოდ ქართველობის საქმე არის და არავის სხვისა...

ზოგადი დემოკრატიული თვალსაზრისი კი აქ არაფრად მოსატანია, რადგან ქართულ ეკლესიას არც ერთი არადემოკრატიული ნაბიჯი არ გადაუდგამს... მაშ რად დაგჭირდათ ასეთი დეკლარაციები?... მენშევიკებს ხომ ყოველთვის „დროისა და გარემოების“ მიხედვით უყვართ მოქმედება?.. მერმე რა გარემოება გაიძულებთ? მხოლოდ მაშინ აირჩია ქართველმა ერმა კათოლიკოსი და დღესვე ასეთი უტაქტო რეზოლუცია გინდათ გამოუტანოთ ქალაქის ინტერნაციონალ საბჭოს, რომელიც არასოდეს არ ჩარეულა ქართულ ეკლესიის საქმეში მაშინაც კი, როდესაც ქართულ ეკლესიას უპირველეს თავისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა!..

ან და იქნებ იმის ცნობა გინდოდათ თუ როგორ უყურებს სოც.-დემოკრატ. პროგრამა, ეკლესიის საკითხს?.. ერფურტის პროგრამა ხომ ისედაც ყველამ კარგად იცის. თქვენ ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფის მომხრენი ხართ... მაგრამ ამის მომხრე არის ყოველი დემოკრატიული პარტია, მათ შორის ჩვენ ნაციონალ-დემოკრატებიც... მაგრამ დღეს, საქართველოს კათოლიკოსატის აღდგენის შემდეგ როცა ქართველმა ერმა მხოლოდ სულ ერთი დღეა რაც ახალი ნაბიჯი გადადგა ეროვნულ თავისუფლებისკენ,—თქვენ, სოციალისტებიც ვალდებული ხართ სიფრთხილით მოეპყრათ ქართველი ერის სჯულისყოფას და მოერიდოთ ხელთათმანის გადასროლას თავისუფალ ქართულ ეროვნულ ეკლესიის წინააღმდეგ.

აი ამიტომ ჩვენი წინადადება ის არის, რომ ეს საკითხი სულ მოიხსნას წესრიგიდან...

**ივ. გომართელი.** ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი შეურაცხყოფის მიყენება არ გვსურდა ქართულ ერისადმი.

**გ. გვაზავა.** წარმოდგენილ რეზოლუციის მიღება ყოვლად შეუძლებელია. კათოლიკოსის არჩევნები ისეთი დიდ-მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ამისთან მისვლას სიფრთხილე უნდა. ამ რეზოლუციაში კი შეურაცხყოფა მიაყენა ზოგიერთ წრეს და მორწმუნეს. ასეთი რეზოლუციით გამოსვლა უზრდელობაა და არა პოლიტიკური ნაბიჯი.

ეხლა ისეთი მომენტია, რომ მხოლოდ მილოცვაა საჭირო და სხვა არაფერი. ამიტომ მთელი რეზოლუცია სოციალ-დემოკრატებისა, თუნდაც პოლიტიკურად სიმართლე იყოს, მხოლოდ ნიშანია უტაქტობის და უზრდელობის.

საბჭოს უმრავლესობა არ ეთანხმება სოციალ-დემოკრატიულ მენშევიკურ ფრაქციას.

ქართული ეკლესიის საკითხის შედეგი ყველას აინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 12 საათია, ყოველ ორატორის სიტყვას აუდიტორია სიამოვნებით ისმენს.

**ადაჯიანი.** (დაშნაკცაკანი) ს.-დემოკრატიული პარტიის რეზოლუცია უადგილოა. ჩვენ მხოლოდ მივულოცოთ ქართველ ერს თავის ეკლესიის უფლებების აღდგენა. რაც შეეხება მის ანტიდემოკრატიობას, ჯერ ამის შესახებ ცნობები არ არის და ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

შემოსულია საკითხი, ვინაიდან ს.-დემოკრატების მიერ აძრული საკითხი უადგილოა და უტაქტო, ამიტომ საკითხი მოხსნილ იქნას.

**ერაძე** (მენშევიკი) წინააღმდეგია საკითხის მოხსნის, ხოლო მომხრეა მისი გადადების.

ამის წინააღმდეგი კი თითქმის ყველა ფრაქციებია.

**არუთიუნოვი** (ბოლშ.). ქართული ეკლესიის აღდგენამ მხოლოდ ჩვენი სალამი უნდა გამოიწვიოს. ამიტომ მივესალმოთ ეკლესიას და მორიგ საკითხებზე გადავიდეთ.

**ფ. მახარაძე** ხაზს უსვამს მენშევიკთა ორმაგ პოლიტიკას და ეკითხება მათ:—რამ გამოიწვია ეს ფიქრი. უწინ ხომ მომხრე იყვნენ მენშევიკები ეკლესიის აღდგენის. ამ შემთხვევაში მათ უნდა სცოდნოდათ რას სჩადიოდნენ, მაგრამ ეს მათი უზრდელობის ნიშანია. რაც შეეხება მათ რეზოლუციას, პირველ ნაწილში რეაქციონული სული სჭარბობს, ხოლო მეორე ნაწილში უტაქტობა.

**გ. ნათაძე** (ს. რევ.) მიუთითებს მენშევიკთა შეცდომაზე და საკითხის მოხსნას მოითხოვს.

თავმჯდომარე კენჭს უყრის საკითხს. კენჭი ეყრება ორ წინადადებას: ქართულ ეკლესიის საკითხი მოიხსნას თუ შემდეგ სხდომისათვის იქნეს გადატანილი. პირველ კენჭის ყრის დროს საკითხის მოხსნის მომხრე 36 იყო, მოწინააღმდეგე კი 31.

მაგრამ მენშევიკებმა უკან არ დაიხიეს და ხელახალი კენჭის ყრა მოახდინეს. აქაც დამარცხდნენ, მესამეჯერ მოახდინეს კენჭის ყრა. ს.-დემოკრატებმა 38 ხმა მიიღეს, მოწინააღმდეგეებმა კი 39. მაგრამ საკითხი თავმჯდომარე გეგეჭკორის ორმა ხმამ გადასწყვიტა.

მ. საირმელი

# სოფლის ვითარება

ყველამ იცის, თუ რა დიდ გაჭირვებას განიცდიდა ქართველი გლეხი ეგრედ წოდებულ „ძველ რეჟიმის“ დროს. მაგრამ ძალიან შემცდარი იქნება ის, ვინც ფიქრობს, რომ ახალმა დრომ გლეხი ასე თუ ისე გაასწორა წელში. მართლაც, კარგად ჩაუკვირდით სოფლის ვითარებას.

თუ უწინ ბიუროკრატიული წესწყობილება სულს უხუთავდა გლეხს, დღეს ასეთი მდგომარეობა სოფლისა იდნავ თუ გაუჯობესდა. გლეხს მისცეს ნება თავის პირდაპირი უფროსების და მსაჯულების ამორჩევისა, მაგრამ ამაში არც ისეთი ხსნა და სიტკბოება ყოფილა. კომისრები და სხვა უფროსები ძველ ბოქაულებად და მის თანაშემწეებად მოევლინენ ხალხს. ძალადობა, გაუგებრობა, მექრთამეობა ისევ არსებობს. ზოგიერთ პესიმისტებს თუ დავუჯერებთ, მექრთამეობა ახლა უფრო გახშირდა. სრული თავისუფლებაო—და სოფელში მაინც და მაინც ვერა ვხედავთ ამ თავისუფლებას. მიტინგები რა არის (ხეირიანი მიტინგები მაინც იყოს!),—და ზოგი ყოფილა ისეთი მაგალითები, რომ მიტინგებზეც კონდახის კვრით მიერეკებოდნენ ხალხს. ესეც თავისუფლება!

სოფლის კომიტეტებშიც დიდი არევ-დარევა სუფევს. ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან. ღორი შესულა სიმინდში და ორიოდე ძირი სიმინდი გაუფუჭებია; სიმინდის პატრონს მოუკლავს ღორი. ღორის პატრონს უჩივლია სოფლის კომიტეტთან, რომელსაც 25 მანეთი ჯარიმის გადახდა გადაუწყვეტია სიმინდის პატრონისთვის, ღორის პატრონის სასარგებლოდ. კომისარს კი არც უცივებია, არც უცხელებია და გამოურთმევია ღორი, 15 თუმნად მაინც ღირებული, მის პატრონისთვის და მიუცია სიმინდის პატრონისთვის. ესეც სამართალი! ყველგან თვითნებობა, უსამართლობა. ყველა უფროსი იმას ჩადის, რაც მას მოეპრიანება. როგორც ვიცით, ღვინის ომი აქვს გამოცხადებული მთავრობის მიერ. სოფლის „მთავრობა“ კი, თუ გაიგო, რომ ვინმე ღვინით ვაჭრობს, ჩამოართმევს მას ამ ღვინოს და თვით „მთავრობა“ თვრება ამავე ღვინით.

ყველაფერი ეს არის იმის მიზეზი, რომ კომისრები და კომიტეტები ერთმანერთს ათასგვარ უსამართლობას, მექრთამეობას (რასაკვირველია, სამართლიანად) აბრალებენ, და ისე კვირა, ორი კვირა არ გავა, რომ კომისრები და კომიტეტებიც არ გამოიცვალონ. ასეთ უბადრუკ მდგომარეობაშია სოფლის მართვა-გამგეობა, მას კი პატრონი არავინა ჰყავს. სოფლად და ქალაქად მომქმედი „მთავრობის“ პარტია კი ამცნობს ქვეყანას—ყველაფერი კარგად არის, რევოლუცია ღრმავდებაო.

ამავე უთავობის და შეუგნებლობის ბრალია ის გარემოებაც, რომ სოფლად კოოპერატივებიც, რომლებზედაც ასეთ დიდ იმედებს ამყარებდნენ და ამყარებენ საქართველოში,—ეს კოოპერატივებიც ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან. ჩვენ გვიკვირს, რატომ მალავენ ამას ჩვენი სოციალისტები, როდესაც გაიძახიან—კოოპერაცია გაძლიერდაო. კოოპერაციის გაძლიერება კოოპერატივის მარტო გახსნით არ განისაზღვრება—ეს ყველამ უნდა იცოდეს.

რევოლუციის გაღრმავების მაგივრად შეიტანეთ ნამდვილი შეგნება გლეხში, და ეს უკეთესი იქნება. თორემ, როდესაც თქვენ უპირდაპირებთ ერთმანეთს გლეხსა და ბურჟუას, როდესაც თქვენ კლასთა შორის ბრძოლას აღვივებთ, ეს თქვენი ცარიელი ლოზუნგები მხოლოდ იმას იწვევენ, რაც ჰქვია ეხლა სოფელში,—გლეხი იკეტება თავის ქურქში, იგი აღარ უსმენს ინტელიგენტს, ნამდვილ ინტელიგენტს, რომელიც მისთვის სინონიმია „ბურჟუასი“ (რასაკვირველია, სხვათა ჩაგონებით), გლეხი აღარ აძლევს ამ „ბურჟუებს“ ზედმეტ პურს და იძახის ბოლოს—რად მინდა თქვენი განათლება—ოღონდ პური მქონდესო.

დიახ, უკულტურობას ფეხი გაუდგამს სოფელში. განა განათლების ბრალია ის, რომ ათასგვარი სნეულება მუსრავს ხალხს, რომ ვერ მოუწყვიათ საავადმყოფოები, რომ ხშირად მშობიარე დედაკაცები ამის გამო შორიდან ქალაქში წასაყვანად ხდებიან? რად გვინდა თავისუფლება, თუ ხელში შეგვრჩება ფიზიკურად დაავადებული და დასნეულებული ხალხი? და სოფელს ხომ ასეთი ფიზიკური გადაგვარება მოელის, თუ მას დროზე არ მივეშველეთ.

და იმის მაგივრად, რომ შეგნება შეიტანონ ხალხში, დადიან სოფლად პროპაგანდისტები და ჰქადაგებენ—ძირს ეკლესია, ძირს სარწმუნოებაო, და ის კი არ იციან, რომ ყველაფერს აქვს დრო, რომ სარწმუნოების დაკარგვა გლეხისთვის და საზოგადოდ ადამიანისთვის სინიდისის დაკარგვაა, ხოლო რა მოსდევს სინიდისის დაკარგვას, ეს ყველასათვის ცხადია. ამასაც არა ჰკმარობენ და ავრცელებენ „ჟურნალებს“, რომელნიც ქუჩურის კილოთი დასცინიან სარწმუნოებას. ნუ თუ თქვენ გინდათ, რომ საქართველოში განმეორდეს ის, რაც ხდებოდა საფრანგეთში 1793 წელს, როდესაც განადგურებულ მონასტრებში, მიცვალებულთა საფლავებზე ურცხვად ქეიფობდნენ და ცეკვავდნენ, როდესაც ვირებზე დაუფენიათ საეკლესიო სამოსელი და ისე მოგზაურობდნენ? ამას უძახით თქვენ პარტიულ მოღვაწეობას? მაგრამ ქართველ გლეხს კიდევ შერჩენია ფუძე სარწმუნოებრივი და იგი წინ აღგიდგებათ თქვენ.

მე ყოველთვის მაინტერესებდა სახელგანთქმულობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა და მსურდა გამეგო ამის მიზეზი. როდესაც ჩამომივარდებოდა ამაზე გლეხებთან საუბარი, ვკითხავდი ხოლმე: „რომელი პარტია უფრო გირჩევნიათ?“—ის პარტია, რომელიც კარგად სწყვეტს ჩვენთვის მიწის საკითხს,—მივიღებდი პასუხს.

— მიწის განსაზოგადოება გინდათ?

— ოჰ, არა, ღმერთმა დაგვიფაროს.

— მაშ იჯარით აღება მიწისა?

— არა, არა, ეგ ხომ უწინაც იყო.

— მაშ რა გინდათ?

— სრული კერძო საკუთრება, თუ გინდათ შეიტყოთ; ჩვენ სოც.-დემოკრატები ვართ.

აი ეს არის სოფლის სინამდვილე.

უნუგეშოა მდგომარეობა სოფლისა, სოფელში განათლების შუქს მხოლოდ იდნავ შეუშუქებია, სოფელში გამეფებულა შავი ბნელი უვიცობისა. საჭიროა შევიტანოთ სოფელში შეგნება, საჭიროა აღვადგინოთ სოფელი. სიტყვისა და თეორიების დრო წავიდა, დადგა დრო საქმიანობისა. და ნუ თუ ჩვენ ისე უმოქმედოთ შევხვდებით ამ დროს?..

გობრონ ციცქიშვილი.

# კორესპონდენცია

## გარეჯ-კახეთიდან

**სოფ. პატარძეული.** თუ ინტელიგენტურ საქართველოს პარტიობა სწყვავს—სოფელი ამ მხრივ დამშვიდებულია. რევოლუციის პირველ დღესვე იგი შეუგნებლად გასოციალისტდა და დღეს სოციალიზმი მთავრობს საქართველოს დაბა-სოფლებში, როგორც სიწმინდის თვალი და გზა დღეული. სოფელს ჰგონია იგი უპირველეს სწავლად და მცნებად, რომელიც გამოტარებულია სიწმინდის ბრძმედში და მის გამო მისი უარყოფა არასგზით არ შეიძლება. არც ერთი პროპაგანდისტი სხვა და კერძოთ ეროვნულ პარტიებისა აქეთ არ გაუვლია თავისი ქადაგებით და წიგნებით. როგორც გადმოგვცეს ადგილობრივ ერთის ფედერალისტს №-ს გაუმართია ინტელიგენციის მცირე საუბარი დღევანდელ პარტიების შესახებ, ხოლო გლეხებს ამ დროს ქვები დაუშენიათ სახლის ფანჯრებისათვის—არ ესმით მათ სოციალიზმი და თავისუფლება!

თუ წინად ახალთაობა საქმიანად ჰყავდა სოფელს და იგიც საკულტურო მუშაობას ეწეოდა, ახლა სოფლად არავინ არი და ვინც სახლში დარჩა იგიც სოფლის სარბიელზე არ გამოდის. პარტიულ გარკვეულობაზე ადგილობრივი ინტელიგენცია ვერ არის [illegible] და არც იმდენ ყურადღებას აქცევს პარტიულ მუშაობას. სოფლებზე მოქმედობენ კახეთის რკინის გზის „დასული“ მუშები და კონდუქტორები. რაკი კახეთის რკინის გზის მუშებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ორიოდე სიტყვით შევეხებით თვით რკინის გზას. უკვე მესამე წელიწადია, რაც პირველად შეჰკივლა მატარებელმა ძალწულ კახეთს, მაგრამ ამ ხანშიც გლეხობა ვერ შეეჩვია მას და ვერ გა[illegible] იგი. მართალია ხშირად უხდებათ მგზავრობა მითი,—მაგრამ რკინის გზას მხოლოდ ომიანობის მნიშვნელობა აქვს მათთვის, სამრეწველო კი არა. ალბად გლეხმა არ უწყის კიდევ, რომ რკინის გზამ, მის მოღვაწეობის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი.

არ იქმნა და ვერ დაყუჩდნენ ჩვენი (მომიჯნავე მომთაბარე თათრები).

საქმე იქამდის მიიყვანეს, რომ ბოლოხნებში წვრილ-წვრილი პარტიზანული შეტაკებანიც ხდება ხოლმე.

შუაღამისას ასტყდება ზარის რეკვა..

გაბოქცეული მწყემსი ცხენზედ დაჰკივის:—არიქათ, გვიშველეთ, თათრებმა საქონელი გაირეკესო“! მყისვე შეუდგება მცირე ცხენოსანთა რაზმი და გამოეკიდება სამდევროდ.

ამ კვირია საქმე ჯერ იყო მდევარი. პირველად მწყემსიც მოგვიკლეს (ვანო გარიტიშვილი), მისი სისხლის აღების სურვილი აშფოთებს სოფელს.. დღეს, როცა საქონელი ასე საჭიროა საშემოდგომო მუშაობისას—დიდი ზარალია სოფლისთვის საქონლის გატაცება. ამ საათს სოფლელები ლეკიანობას აღდგენენ. ენკენისთვის ცხრაში, შუაღამისას მოვარდა თითქმის ენა ჩავარდნილი მწყემსი და შეატყობინა სოფელს თათრების თარეშის ამბავი. თერთმეტი ცხენოსანი შეიარაღებული (12-ამდე შემდეგ მიჰყვა) ზურით გამოდევნა თათრებს. ქურდები ვერ უპოვეს და ვერც დაკარგული საქონელი აღმოაჩინეს. მდევარმა ჯავრი იყარა მათს სოფელზე და გათენებისას თავს დაესხა. თათარნი შემოწყდნენ და იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს. ცხარე ბრძოლის შემდეგ მდევარმა გამორეკა ჯერ ერთი ფარა ცხვარი და 4 უღელი კამეჩი, სამ უღელსაც ხარი. ცხვარი ისევ დაუბრუნეს და საქონელი კი გამოირეკეს.

ამ ხერხით, შეიძლება ქურდები გამოსტყდნენ და თვით სოფელმა იპოვოს, რადგანაც მან მშვენივრად იცის, მათი კვალი და გზა...

ჩვენი სოფლიდან წაყვანილია დიდძალი საქონელი (აგრეთვე ჩვენ მეზობელ სოფლებიდან) და გულხელდაკრეფილი სოფლის ხალხი ხელში სახრით—დადის და დაეძებს დაკარგულ საქონელს. გუთანი, ფარცხვა და ვენახებში ყურძენი კი დასაკრები რჩება.

ეს თათრები არ არიან სათათრეთის წარმომადგენლები. ესენი გადმოსულნი (ამბობენ ბაქოს მხრიდან) ყაჩაღ-თუღლები არიან და არც ცხვენ თავის ერს, თორემ აქაურ ქართველობას თათრობა უყვარს და ერთმანეთში „ყონაღდებიან“ კიდეც.

დღევანდელ თათრების თარეშს ადგილობრივი კომისარი შესაფერ ყურადღებას ვერ აქცევს. მან სცადა ერთხელ საქმის ინტერნაციონალურად გასინჯვა: თათრებს დაუბრუნა წართმეული საქონელი და იარაღიც... სოფელი აღელდა, მაგრამ დაშოშმინდა... მაგრამ თათრებმა მეორე დღითვე გაიმეორეს ფერადული საქციელი და სოფელი უფრო აღელვებულია. საჭიროა, ბატონმა ქვათაძემ სამართლიანად გადაჭრას საქმე, თორემ თუ მან ქურდ-ბაცაცებს იარაღიც და საქონელიც დაუბრუნა, ამით საქმეს ვერ გააკეთებს და კვლავ გაიმეორებენ ტაცობას, რაც ენკენისთვის 9-ში მოხდარ ამბავმა დაამტკიცა...

—

ვენახები თითქმის სულ დაიკრიფა. წრევანდელი რთველი აღრეულია. მოსავალი საშუალოა. მარცვალს გამოსავალი ცოტა აქვს—ასევე ითქმის მეზობელ სოფლებზე. ალაგ-ალაგ დაინაცრა მტევანი და ზოგმა ხელი აიღო ვენახზედაც. დღეს სოფლის საღვინე დუქნებში ხელადა ღვინო 2 მ. 50 კ. ფასობს. კარტოფილის მოსავალიც საშუალოა. ფუთი—4 მანეთად ფასობს. კაკალი ლიტრა 3 მ., 3—50 კ. მაგრამ ყველაზედ შემაზარი სიძვირით ხასიათდება პურის მოსავალი. მოსავალს არა უშველა რა, ზოგ ოჯახს ბლომა პურიც მოუვიდა, მაგრამ დღეს, კოდი 40 მ. ფასობს და ლაპარაკობენ კიდეც 50 მ. გახდესო. სოფელმა აკრძალა პურის სოფლიდან გატანა. თუ დაიმშა სოფელი, ბედელი ჰქონდეს შიგვე. ხომებს ეხლავე არ იღებენ და პურსაც ჰყიდიან მეზობელ გერმანელებზე. გაზაფხულზე სიმშილი აუცილებელია, მაგრამ ჩვენი გლეხი უზრუნველად ღიღინებს:

„კაცი ამ ქვეყნად დევნილი,
ყველგან იშოვის ბინასო,
„უჯობს არაფერს გაუდრკეს,
გული უგავდეს რკინასო“.

—

კერძოდ კახეთში ვენახის მოვლა პრიმიტიულია. „ნოესბური“ ვენახი დიდს შრომას თხოულობს და ამიტომაც არის, რომ გლეხი ურემს და ვენახს ვერ ასდის. თუ ვენახს მიჰყვა, ურემს და ხვნა-თესვას თავი უნდა ანებოს. აუარებელ ხარჯს და შრომას თხოულობს. იგი შეიძლება ერთს მშვენიერ დღეს სრულიად გაანადგურონ! [illegible] მევენახეობასაც თავი ანებონ და ბევრ ალაგ გვხვდება ამოვარდნილი ვენახები, სადაც კარტოფილს და სიმინდს [illegible]! მეურნეობა რომ კარგად იყოს განვითარებული და კახეთიც ეკონომიურად არ იყოს ჩამორჩენილი—[illegible] ვენახებს დიდს მრეწველობას [illegible]; მაგრამ სოფლის ჩამორჩენილთ არ ესმით და მევენახეობაზე თანდათანობით განკითხვის დღეები უდგება. წინედაც აქ კერძო კახეთის მევენახეობაზე შეეჩერებულიყო, მაგრამ კორესპონდენციის მცირე ადგილი ნებას არ მაძლევს. ამაზედ სხვა დროს მოგახსენებთ.

გურამ გელაძე

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

## კალენდარი

ოთხშაბათი ენკენისთვის

20

ქართვ. წმ. დიდისა მოწ. ევსტათისა და სახლეულთა მისთა. [illegible] წმ. [illegible] და სხვ.
კათოლ. წმ. ევსტათისა.
სომხ. დღესასწაული ეკლესიისა.
მაჰმად. ხიჯ-შაბან 16 რაჯ. ზულჰიჯა 1335 წ. ჰიჯრისა.
ებრაულ. [illegible] 17 რ. თიშრისა 5678 წ. ქ. შექ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია [illegible])

თბილისიდგან გადის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისაკენ | სიგ. | № 5, | 11.32 დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.28 საღ. |
| პეტროვსკისაკენ | სამგზ. | № 13, | 8, 17 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.19 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.51 დილ. |
| „ | სიგ. | № 4, | 8.46 საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 12.15 საღ. |

თბილისში მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდგან | სამგზ. | № 10, | 8.58 დილ. |
| „ | სიგ. | № 6, | 7.41 საღ. |
| [illegible] | სამგზ. | № 20, | 7.57 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 9.50 საღ. |
| ბაქოდგან | სიგ. | № 8, | 10.26 დილ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.20 საღ. |
| ყარს-ჯულფიდან | სიგ. | № 3, | 7.53 დილ. |

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა

კურსები

ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნების მიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მოეწოდებათ გადაგზავნებით, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—23

საავადმყოფო

[illegible] ექიმ სპეციალისტებისა [illegible] ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3, ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ზელაძე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. [illegible] 10—12 ს. ყოველდღე.
[illegible]—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
[illegible]—ყელის, ყურის და ცხვირ. —2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
[illegible]—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
[illegible]—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
[illegible]—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
[illegible]—ქალთა და სნეულებით ყოველ-დღე 3—3 საათამდე.
[illegible]—ქალთა და [illegible] ავად. [illegible] 11—12 ს.
[illegible]—[illegible] ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
[illegible]—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
[illegible]—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
[illegible]—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
[illegible]—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—67

[illegible]

[illegible]

[illegible] № 3, [illegible] № 112.

[illegible] (წ.)

სტამბა „ცხოვრება“ ალექსანდრე კალანდაძისა გაზაფხულის შესახვევი № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“